ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 232 (20978) — სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განცხადება

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 73 წლისთავის შესახებ“

სამოცდაცამეტი წელი გავიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროიდან, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ახალ ერას. მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა კომუნისტები თავიანთ ხალხთან, მთელი მსოფლიოს პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად ყოველთვის აღნიშნავენ 7 ნოემბერს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს დაბადების დღეს, როგორც თვალსაჩინო თარიღს სამყაროს რევოლუციურ განახლებაში. მაგრამ წელს ქვეყნის ცალკეულ ქალაქებსა და რეგიონებში გაისმის მოწოდებები უარი ვთქვათ ამ საერთო-სახალხო ტრადიციაზე.

რა შეიძლება ითქვას ამგვარ მოწოდებებზე, რომლებიც ეხება ჩვენი სახელმწიფოს პატივსა და ღირსებას? საბჭოთა რევოლუციის სამოცდაცამეტი წლის გზა არ ყოფილა მარტივი და იოლი. იყო ისტორიული მიღწევები ახლის შექმნაში, უკვდავი მხედრული გმირობა, იყო ხალხის მძიმე ტრაგედიებიც. მაგრამ განა წარუმატებლობებისა და წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი იყო სხვა ქვეყნებში რევოლუციური პროცესი და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება?

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ უჭერს მხარს ღრმა ცვლილებებს ჩვენს საზოგადოებაში, საბჭოების სრულუფლებიანობის იდეის გამარჯვებას, ახალგადელი და მომავალი თაობების ღირსეული ცხოვრებისათვის პირობების შექმნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, იზიარებს რა მრავალი წერილის, რეზოლუციის, მიმართვის ავტორთა შეშფოთებასა და გულისტკივილს, ხაზს უსვამს, რომ არამართლზომიერი და უსაფუძვლოა ყოველი ცდა ჩვენს მრავალეროვან ხალხს წაართვან მთავარი საერთო-სახელმწიფო დღესასწაული, რომელიც ორგანულად დამკვიდრდა ყოველ საბჭოთა ხალხში, ყოველ ოჯახში. ეროვნული დღესასწაულები მთელ მსოფლიოში განუყოფელია სახელმწიფოებრიობის, მოქალაქეობრივი ღირსების, ხალხის პატრიოტული, ისტორიული და კულტურული ტრადიციების ცნებებისაგან. ოქტომბერი უკვე დიდი ხანია მარტოოდენ საბჭოთა კუთვნილება აღარ არის. სავსებით სამართლიანად იგი ყველას დღესასწაული გახდა, ვისაც სწამს სოციალისტური იდეის აღმშენებლობითი პოტენციალი. ზოგადსაკაცობრიო ღირებულება რომ გახდა.

ლენინური ტრადიცია გვიკარნახებს საიუბილეო თარიღები მოვაწყოთ სახალხო ძალების დარაზმვისა და ერთიანობის ნიშნით. და საყოველთაო-სახალხო, ეროვნებათშორისი კონსოლიდაციის ეს ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა ჩვენი საზოგადოება მიდის ღრმა ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი საერთო-საკავშირო ხელშეკრულების დადებისაკენ.

სწორედ ამ ძალთა უმაღლესი დაძაბულობის პერიოდში საჭიროა შეგნებული დისციპლინა და ორგანიზებულობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, თანხმობა, აქტიური შემართება და მომავლის რწმენა, ესე იგი ყველაფერი ის, რაც დღესასწაულის ცნებას შეადგენს. აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საარსებო პრობლემების გადაჭრაში, განვლილის გააზრებაში, ჩვენამდე მოღვაწე თაობების ღირსეულად დაფასებაში — ასეთია დღეს მისი ზნეობრივი არსი.

ჩვენ არ მოგიწოდებთ პარადული ზარზეიმისა და ფუჭსიტყვაობისათვის, მოგიწოდებთ დაიცვათ ნოემბრის ზეიმის ცოცხალი სული: მისი გამაერთიანებელი მიმართულება, ჰუმანიზმი, სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება. კი ნუ გავაძლიერებთ განხეთქილებას, არამედ ხელი შევუწყოთ სულიერ ერთიანობასა და ეკონომიკურ აღმავლობას, კრიზისული სიტუაციის დაძლევას, რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს მრავალეროვან სამშობლოს.

დღესასწაულის მოწყობის ფორმა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს — საზეიმო კრებები, დემონსტრაციები, მიტინგები და სხვა ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო მოუწოდებს კომუნისტებს, უპარტიოებს, სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, სახალხო ხელისუფლების იდეალების ყველა თანამიმდევარ მომხრეს ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ჩვენი მთავარი საერთო-სახალხო, სახელმწიფო დღესასწაულის აღმშენებლობითს, მაკონსოლიდირებელ მნიშვნელობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო.

რომ აღსრულდეს წინაპართა ნაოცნებარი

სამარადისოდ შთამომავალთა ხსოვნაში

ეს იყო სრულიად საქართველოს დღესასწაული, ერის დიდი ზეიმი, ნათელი დასტური იმისა, თუ როგორ მიაგებს პატივს ქართველი კაცი სასიქადულო წინაპარს, მამულიშვილსა და ერისკაცს.

იდეა საქართველოს ვაზირთუპირველესისათვის 900 წლისთავის მარტვილში აღნიშვნა წლის დასაწყისში ჩაისახა. ამ დანიშულებით შექმნილი კომისიის პირველსავე სხდომაზე გამოვლინდა ენთუზიაზმმა, რომელიც რაიონის მშრომელთა საერთო აზრს გამოხატავდა, მოლოდინს გადააჭარბა.

ზეიმისთვის მზადების დღეებში, მარტვილის რაიონი დიდ საშენებლო მოედანს დაემსგავსა. ვის არ ნახავდით აქ: ჭარმაგსა თუ ახალგაზრდას, ქალებს, სკოლის მოსწავლეებს, ყველას, ვისაც ერთნაირი გრძნობითა და შემართებით უყვარს სამშობლო, თავისი რაიონი, ვისაც თანადგომა, ძმობა და სიყვარული ცხოვრების დევიზად გაუხდია, ვინც გიორგი ჭყონდიდელის მრწამსით, ძლიერი ერთიანი, თავისუფალი საქართველოს მოქალაქის სურვილით სულდგმულობს.

ხუთი ოქტომბრისათვის ყველაფერი მზად იყო საზეიმოდ. ხალხმა ყველა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა. ქალაქის ცენტრი დაამშვენა სხვადასხვა დანიშნულების ლამაზმა ჯიხურებმა, გადაიღება შენობები, შავი საფარით დაიფარა ათეული კილომეტრით ცენტრალური და შიდა სასოფლო გზები, სანიმუშოდ მოეწყო გაზონები, ტროტუარები, კეთილმოეწყო მარტვილის ეკლესიისა და ჭყონდიდების ძეგლის აღსამართი „ქვარცხლბეკისაკენ მიმავალი გზა. ქალაქის ცენტრში ხუთი ათას კვადრატულ მეტრზე დაიგო მხატვრული დეკორატიული ფილები.

წინა დღით ქუთაისში გელათის მონასტერში გიორგი ჭყონდიდელისა და დავით მეფის საფლავების მონახულებისა და პატივმიცემის შემდეგ მარტვილს ესტუმრნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, რომლებმაც იმავე დღესვე მონაწილეობა მიიღეს გიორგი ჭყონდიდელის დაბადების 900 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, შეხვდნენ და ესაუბრნენ რაიონის მშრომელებს და, ღამეც იქვე, სტუმართმოყვარე მასპინძლების ოჯახებში გაათიეს.

შემდეგ ზეიმმა მარტვილში გადაინაცვლა, სადაც მარტვილის ოქთისმშობლის მიძინების ლავრაში მოღვაწეობდა დიდი მამულიშვილი. თითქმის მთელი საქართველო შეიკრიბა აქ. ზარების გუგუნმა ამცნო მათ ამ მშვენიერი დღესასწაულის დაწყება. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ცენტრალურ ტაძარში გამართა წირვა, გადაიხადა პარაკლისი. მანვე აკურთხა ის ადგილი, სადაც უნდა აღიმართოს გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი. იგი 1992 წლისათვის უნდა აიგოს. ბევრი რამ ამშვენებდა საქართველოს ვაზირთუპირველესის საიუბილეო ზეიმს — ჩვილთა ნათლობა, ჯვრისწერა, მეგრელ მხედართა მაყრიონი, ტკბილი სიმღერები...

ზეიმი გაგრძელდა სალხინოში დადიანების საზაფხულო სასახლეში. აქ გაიმართა ეთნოგრაფიული, ფოლკლორული ყოფის ამსახველი გამოფენა, თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების ოსტატები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. მხატვრული პროგრამა მოამზადა საქართველოს სახალხო არტისტმა ბორის წიფურიამ.

მარტვილელებს მიესალმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე და ქალაქს სამახსოვროდ გადასცა ჭყონდიდელის აღზრდილის, საქართველოს სწორუპოვარი მეფის დავით აღმაშენებლის პორტრეტი.

„სიმბოლურია, რომ ჭყონდიდელის სამოღვაწეოდ გამოსვლის 900 წლისთავს ღღეს ვზეიმობთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მარიკა ლორთქიფანიძემ. — სწორედ ჭყონდიდელი იყო ის კაცი, ვისი ნამოღვაწარიც ესოდენ სჭირდება ახლა ჩვენს ერს, როგორც მაგალითი სარწმუნოებისა და საერო საქმეთა გახუყოფლობისა.

აქ, ამ მიწაზე, ეყრებოდა საფუძველი საქართველოს გამოლიანებას ფარნავაზიდან მოყოლებული. ჭყონდიდელისა და მისი აღზრდილის ეპოქამ შეგვძინა ერთიანი, მტერთაგან შეუვალი საქართველოს ხატება. მინდა ვირწმუნო, რომ სწორედ ჭყონდიდელის საიუბილეო ზეიმი იქცევა მომავალი ბედნიერი, სულიერად და ხორციელად კვლავ ამაღლებული, ერთიანი საქართველოს დასაბამად.

მარტვილში გამართულ სრულიად საქართველოს ზეიმს ესწრებოდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბონდო ჯიქია, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

• • •

გვიან საღამოს ათასობით ადამიანი ერთი ფიქრითა და აზრით სტოვებდა მოზეიმე სალხინოს, მარტვილს: დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთიანობა, მხარდამხარ შრომა და საქმიანობა, ერთმანეთის გატანა, რათა აღსრულდეს წინაპართა ნაოცნებარი.

ბორის ფოცხვერაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი,

მაკა კილაძე,
ოდიკ ქუხილავა,
საქინფორმის კორესპონდენტები.

✦✦

სურათებზე: ზეიმი სოფელ სალხინოში; სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჭყონდიდელის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე.

ფელიქს არიმსაკის ფოტო.

შეხვედრა მეცნიერებთან

7 ოქტომბერს სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროგრამის მომზადების ფარგლებში შეხვდა ამ მუშაობის მონაწილე მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს ა. გ. აგანბეგიანმა, ს. ა. სიტარიანმა, გ. ა. იავლინსკიმ, ვ. ს. პავლოვმა, ლ. ი. აბალკინმა.

პრეზიდენტმა განსაზღვრა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისაგან მიღებული წინადადებების, საწარმოების ხელმძღვანელებთან, მუშებთან და გლეხებთან, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის პროექტის საბოლოო დამუშავების მიმართულებანი.

გათვალისწინებულია, ამ საკითხებზე მოაწყონ კონსულტაციები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომიტეტებთან და კომისიებთან, მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლებთან.

(საკდესი).

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საარჩევნო ოლქებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატების საყურადღებოდ!

რომ არ შეფერხდეს თქვენი სააგიტაციო პლაკატის დროულად დამზადება, გთხოვთ 11 ოქტომბრამდე უზრუნველყოთ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში საჭირო მასალების წარდგენა (ფოტოსურათი 9X12 (ან მზა კლიშე), ბიოგრაფიული მონაცემები და წინასაარჩევნო პროგრამა ან მოწოდებები — სულ არაუმეტეს 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი 2 გვერდისა).

ამომრჩევლებს ვაცნობებთ, რომ პარტიული სიები გამოქვეყნდება გაზეთ „კომუნისტში“ 10 ოქტომბრიდან.

საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები:

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. „თავისუფლება“ — საარჩევნო ბლოკი:
რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
„დას“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის)
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
მწვანეთა პარტია
ეროვნული თანხმობის ასოციაცია
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი

2. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია

3. საქართველოს კომუნისტური პარტია

4. საქართველოს აგრარული კავშირი

5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
მშვიდობისა და თავისუფლების პარტია

6. საქართველოს სახალხო პარტია

7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება

8. საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“

9. „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირი“ — საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული ერთიანობის პარტია
მთიელთა პოლიტიკური კავშირი

10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი

11. „ბუნთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი:
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
შრომის პარტია

12. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ჰელსინკის კავშირი
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი
ეროვნულ-ქრისტიანული პარტია

13. საქართველოს სახალხო ფრონტი

14. „დემოკრატიული საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
რესპუბლიკური პარტია
თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
დემოკრატიული სახალხო ფრონტი
დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ. (საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება)

შემოხაზეთ იმ დეპუტატობის კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი —
დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად (თუ წარდგენილია ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ, დაიწერება „დამოუკიდებელი“). და ა. შ.

პირველი სახის (პარტიული) ბიულეტენი იბეჭდება ფერად ქაღალდზე. მის დამზადებას და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის მიწოდებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მეორე სახის (დეპუტატობის კანდიდატების) ბიულეტენის დაბეჭდვას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ყუთის აღწერილობა: ყუთი ხისა უნდა იყოს, 85 სმ სიმაღლის, 50X40 სიგანის, ანჯამებზე დამაგრებული, გადასახსნელი სახურავით, რომელსაც შუაზე აქვს ჭრილი ბიულეტენების ჩასაშვებად, ყუთსა და სახურავს აქვს ლითონის კაუჭები დალუქვისათვის.

ყოველ უბანში უნდა იყოს იმავე ფორმის მცირე ზომის გადასატანი ყუთიც.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის

როგორ დავამეტოთ მანეთი?

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის წინ ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა არნახულად დაიძაბა. გრძელდება დაუცხრომელი კამათი რეფორმის იმ პროგრამების ირგვლივ, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიას განსახილველად შესთავაზეს. სიტყვა კამათი, შეიძლება, ცოტა მოკრძალებულადაც კი იყოს ნათქვამი, ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლა სესიაზე „შხამიანი“ და არაკორექტულია, არის შეთხზეული, როცა საქმე პირად შეურაცხყოფამდეც მიდის. არადა, ასეთ თავშეუკავებლობასა და დაუფიქრებელი სიტყვების რახა-რუს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. დრო გადის, ურემი კი კვლავ ლაფშია ჩაფლული.

რუსეთის პარლამენტი, რომელმაც არცთუ ისე დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ „აკადემიკოს შატალინის პროგრამა მიიღო, თითქმის დაუპირისპირდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიას, ლამის ულტიმატუმი წაუყენა ქვეყნის პრეზიდენტს.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად რუსეთის პარლამენტმა ყურადღება მიიქცია. ბევრს საინტერესოდ მიაჩნდა მთელი რიგი საკითხებისადმი მისი არაორდინარული მიდგომა, სუვერენიტეტისათვის თავგამოდებული ბრძოლა, სოციალური პრობლემების დროული გადაწყვეტისათვის ზრუნვა და სხვა. დიახ, ასეა, მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ ბოლო ხანებში რუს დეპუტატთა გამოსვლებში, სამწუხაროდ, ხანდახან შოვინისტური, იმპერიული ნოტებიც გაისმის. შიგა და შიგ გაიგონებთ: „მთავარი რესპუბლიკა“, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული ყველაფერი“ და სხვა. უკმეხად იხსენიებენ ზოგიერთ რესპუბლიკას, „ისრულობენ ყოველისშემძლეთა როლს და ა. შ.

ალბათ, სულ მალე, ყოველ შეთხზევაში წლის დამლევამდე, გამოიკვეთება მთლიანი პოზიციები როგორც ზემოდან, ისე რესპუბლიკების მხრიდან, ამ უკახასკნელთა გადაწყვეტილებებს კი პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასეა თუ ისე, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, ალბათ, გარდაუვალია. მანამდე კი, როგორც ეს, მიუხედავად მათი ალტერნატიულობისა, სესიაზე წარდგენილ ყველა პროგრამაშია აღნიშნული, საჭიროა ეკონომიკის შედარებითი სტაბილიზაცია. საამისოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება, მანეთის „დამძიმება“, ე. ი. მისი მყიდველობითი უნარის ზრდა და სამომხმარებლო ბაზრის შევსება.

მთავრობისეულ პროგრამაში, მომავალი წლისათვის, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება ნავარაუდევია 25-30 მილიარდი მანეთით, მაგრამ ესეც დიდ პრობლემად არის მიჩნეული. მისი გადაწყვეტის გზებს ეძებს ახლა ქვეყნის ყველა ეკონომიკური ორგანო.

ამავე დროს, ერთიანი პროგრამის შემუშავების ცდების დროს წამოიჭრა საკითხი, რომ მიმდინარე წელი დავამთავროთ დაახლოებით 40 მილიონი მანეთის დეფიციტით, ზოლო მომავალი წლის მარტისთვის მთლიანად უდეფიციტო ბიუჯეტზე გადავიდეთ. მთავრობის აზრით, ამის ასეთ მცირე დროში მიღწევა შეუძლებელია, ეს მძიმე ტვირთად დაიწვებათ ფართო მასებს, კიდევ უფრო გაუარესდება ცხოვრება.

თავისი შეხედულება აქვს მთავრობას ფასწარმოქმნასთან დაკავშირებითაც. დაიწყოს სრულიად თავისუფალი, თუ სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული ფასწარმოქმნა? მთავრობის აზრით, ასეთი თავისუფლება დღევანდელ უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში გამოიწვევს ფასების განუსაზღვრელ მატებას, სამეურნეო ცხოვრების დესტაბილიზაციას და საწარმოების დეზორიენტაციას საწარმოო გეგმების ჩამოყალიბების პროცესში. ამიტომ საჭიროდ არის მიჩნეული სახითუმო ფასების ცენტრალიზებული გადასინჯვა მათი თანდათანობითი ლიბერალიზაციის გზით. ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით, პროგრამაში ლაპარაკია აგრეთვე გარკვეულ კომპენსაციაზე. ამავე დოკუმენტის თანახმად, გაისად უცვლელი დარჩება ზოგიერთი სახეობის მაცივრების, ტელევიზორების, რადიონაწარმის, მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დასახელების სახალხო მოხმარების საქონლის ფასები. მოხსნილია დღის წესრიგიდან ლიქიორ-არყისა და კომუნალური მომსახურების გაძვირების საკითხი.

საგრეთვე, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროებს და საქსახმომარაგებას.

იყო დრო, როცა ყველას ძალიან გვაწუხებდა სალაროს გეგმის შეუსრულებლობა, „არ გვყოფნდა ნაღდი ფული, ჩირდა ხელფასების დროული გაცემა. ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რვა თვის გეგმა ამ მხრივ 17 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა, ნავარაუდევზე ლამის ოთხჯერ მეტი ფული შეიტანეს სალაროებში. მოსახლეობის ანაბრებმა საქართველოს შემნახველი ბანკის დაწესებულებებში პირველი სექტემბრისათვის 9,3 მილიარდ მანეთს მიაღწია. საკასო გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებამ, ეეიძლება ითქვას, ერთგვარად განმუხტა მდგომარეობა, შეამცირა ფულის ემისია, რომელმაც 436,6 მილიონი მანეთი შეადგინა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ შარშანდელ იანვარ-აგვისტოში მიმოქცევაში გამოუშვეს 771,6 მილიონი მანეთი ნაღდი ფული.

აქვე დავძენთ, რომ სალაროს გეგმის გასავლის ნაწილში გადახარჯვაა. გათვალისწინებულზე მეტი თანხაა გაცემული ხელფასებისა და სხვა მიზნებისათვის. ასე რომ, შარშანდელთან შედარებით, გასამ, ე. ი. 25-ით მეტმა საწარმომ, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში. გაცილებით მეტი სანქციები წაუყენეს და, მაშასადამე, ჯარიმები გადაახდევინეს საწარმოებს სხვადასხვა მიზეზით.

ვადაგადაცილებულმა თანხამ რესპუბლიკის ეკონომიკაში ბანკების სესხებსა და ორგანიზაციათა ურთიერთანგარიშწორების მიხედვით აგვისტოს დამდეგისათვის 3204,2 მილიონ მანეთს მიაღწია და ეს თითქმის 470 მილიონი მანეთით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. საკმაოდ დიდი ვალები აქვთ გასასტუმრებელი იგივე მსუბუქი მრეწველობის, ვლის ნაწილი ოცი პროცენტით გაიზარდა.

როგორც ხედავთ, ფული კვლავ უხვად გამოდის მიმოქცევაში. ადრეც არაერთხელ გვითქვამს, რომ სალაროს გეგმის ასეთი საგრძნობი გადაჭარბებით შესრულება და შემნახველ ბანკში ანაბრების ზრდა არ არის კარგი ცხოვრების მაჩვენებელი. დაუსაქონლებული ფულის შემოსავალი მატულობს და, ბუნებრივია, იგი ხალს ბანკში მიაქვს, მაგრამ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის შემდეგ, ალბათ, სიტუაცია შეიცვლება.

იანვარ-აგვისტოში რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა იანვარ-აგვისტოსთან . შედარებით 1,1 მილიონი მანეთით მეტი თამბაქოს ნაწარმი მიეწოდა, მაგრამ ეს საქონელი მაინც არ ჩანს. ამბობენ, მისი მარაგი მრეწველობაში და საბითუმო ვაჭრობაში ოთხმოცი პროცენტით შემცირდაო. თამბაქოს საკითხზე დაწვრილებით ახლო მომავალში მოვუთხრობთ ჩვენს მკითხველს.

რვა თვეში საბაზრო ფონდმა შარშანდელთან შედარებით ნაკლები მიიღო აგრეთვე ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილები.

რა ხდება, როგორ ასრულებს ვაჭრობა გეგმებს? დიდი არაფერი. ადამიანები ყიდულობენ ყველაფერს, რაც კი გამოჩნდება დახლებზე, თავის როლს ასრულებს ამ საქმეში ზოგიერთი სახეობის პროდუქციის, კერძოდ, სახალხო მოხმარების საქონლის გაძვირება. ეგეც არ იყოს, განა ცრტას ნიშნავს ის ფაქტი, რომ რვა თვეში რეალიზებულია ოცდახუთი პროცენტით მეტი ალკოჰოლიანი სასმელი?

ნუ გეგონებათ, თითქოს ამ შედარებით მოკლე ხანში ქართველი კაცი ზომაზე მეტად მიეძალა ბახუსს. მის რეალიზაციაში „დაგვეხმარენ“ მთლიანად საქართველოში და თბილისში ჩამოსული სტუმრები. იმდენად დაგვეხმარენ, რომ იმავე ქართველ კაცს ხანდახან შინ სტუმრის მოსვლისა ეშინია. ღვინო, რომ იტყვიან, სანთლით გახდა საძებარი. დაიჯერებდა ვინმე ამას ერთი წლის წინ?

ახლახან სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ. კანონი 1992 წლის მარტის დამლევამდე ჩვენს პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას გამოსცეს კონსტიტუციის შესაბამისინორმატიული ხასიათის ბრძანებულებები სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის, საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის, შრომის ანაზღაურებისა და ფასწარმოქმნის, მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე.

იმოქმედებს კანონი? ვნახოთ...

ზოთა ამაშუკელი.

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბოლკვაძე (მთავარი რედაქტორი), ალ. ბერიძე, ალ. ბურკაძე, ალ. ბურჭულაძე, ალ. ვეფხვაძე, ალ. ზაქარეიშვილი, ალ. ზაქარაია, ალ. ზალიკაშვილი, ალ. ზალიკანელი, ალ. ზალიკანელი, ალ. ზალიკანელ

 პროექტი

საქართველოს კანონი ბანკების შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ბანკები წარმოადგენენ დაწესებულებებს, რომელთაც აღნიშნული კანონის ძალით უფლება აქვთ მოიზიდონ ფულადი სახსრები მათი დაბანდების მიზნით და განახორციელონ ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საბანკო ოპერაციები.

ბანკები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და მოქმედებენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

მუხლი 2. საბანკო ოპერაციები.

ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ ყველა ან ზოგიერთი ქვემოთ მოყვანილი საბანკო ოპერაციები:

1. ფულადი ანაბრებისა და კრედიტების მოზიდვა და დაბანდება;
2. კლიენტებისა და ბანკი-კორესპოდენტების დავალებით ანგარიშსწორებისა და მათი საკასო მომსახურების განხორციელება;
3. კლიენტებისა და ბანკი-კორესპოდენტების ანგარიშების წარმოება;
4. დასაბანდებელი სახსრების მფლობელის ან განმკარგულებლის დავალებით კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება;
5. საგადამხდელო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აკრედიტივები, თამასუქები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება;
6. საგადამხდელო დოკუმენტების და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, გაყიდვა, შენახვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;
7. მესამე პირების მაგივრად დავალებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებების გაცემა, რომელიც მათ ფულად ფორმაში შესრულებას ითვალისწინებს;
8. საქონლის მიწოდებიდან და გაწეული მომსახურებიდან მისი ღირებულების მოთხოვნის უფლების შეძენა, ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილების რისკის საკუთარ თავზე აღება და ამ მოთხოვნათა ინკასაცია (ფაქტორინგი);
9. ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისაგან ნაღდი უცხოური ვალუტის, აგრეთვე მათ ანგარიშებზე და ანაბრებზე რიცხული ვალუტის შეძენა და გაყიდვა;
10. ძვირფასი ლითონების, ზუნებრივი ძვირფასი ქვების და მათგან ნაკეთობათა შეძენა და გაყიდვა, როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისევე მის ფარგლებს გარეთ;
11. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად ძვირფასი ლითონების მოზიდვა და დაბანდება ანგარიშებსა და ანაბრებზე და ამ ფასეულობებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;
12. კლიენტთა დავალებით სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდებით მართვა და სხვა რწმუნებითი ოპერაციების გატარება;
13. საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის კომპეტენციის ფარგლებში გაცემული ნებართვებით ბანკებს შეუძლიათ სხვა ოპერაციების შესრულებაც.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ოპერაციები შეიძლება გატარდეს რესპუბლიკაში მოქმედი ფულის ერთეულით და უცხოური ვალუტით.

ბანკებს უფლებამოსილება ამ მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებაზე განისაზღვრება მათი წესდებით.

ამ მუხლის „1“ და „2“ პუნქტებით გათვალისწინებული საბანკო ოპერაციები ითვლება ბათილად, თუ ისინი შესრულებულია ისეთი პირების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი რწმუნებანი.

მუხლი 3. საფირმო დასახელება.

სიტყვები „ბანკი“, „საკრედიტო დაწესებულება“ და ამ სიტყვათა სხვა წარმოებულები შეიძლება გამოყენებული იქნას საფირმო დასახელებებში ან სარეკლამო მიზნებისათვის მხოლოდ ბანკებისა და იმ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც აღნიშნული კანონის შესაბამისად მიცემული აქვთ საბანკო ოპერაციების წარმოებაზე რწმუნება.

მუხლი 4. პასუხისმგებლობის გამიჯვნა სახელმწიფოსა და ბანკს შორის.

საქართველოს ბანკები არ აგებენ პასუხს რესპუბლიკის ვალდებულებებზე, ასევე რესპუბლიკა არ აგებს პასუხს ბანკების ვალდებულებებზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მაშინ, როდესაც რესპუბლიკა თავად იღებს ასეთ ვალდებულებას.

კარი II

საქართველოს საბანკო სისტემა

მუხლი 5. ერთიანი საბანკო სისტემის შემადგენელი რგოლები.

საქართველოს ბანკები შეადგენენ რესპუბლიკის ერთიან საბანკო სისტემას, რომელიც მოიცავს ცენტრალურ სახბანკსა და კომერციულ ბანკებს.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საქართველოს სახბანკის თანხმობით გახსნან თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლობები.

ბანკებს შეუძლიათ თავისი საქმიანობის კოორდინაციისათვის შექმნან კავშირები, ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები.

მუხლი 6. ბანკები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონებით, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, სხვა გადაწყვეტილებებით და საკუთარი წესდებებით.

თავი I.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი — რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი საერთო დებულება

მუხლი 7. საქართველოს სახელმწიფო ბანკი (სახბანკი) წარმოადგენს რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს და შეადგენს მის საკუთრებას.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი იქმნება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 8. საქართველოს სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს თავისი წესდება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 9. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ეკონომიკისა და ფულის მიმოქცევის რეგულირება, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების ორგანიზაცია-ზედამხედველობა კომერციული ბანკების საქმიანობისადმი.

დაკისრებული ამოცანების განახორციელებლად საქართველოს ცენტრალური ბანკი ამ კანონით დადგენილი რწმუნებების ფარგლებში მონაწილეობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით. საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს სახალხო დეპუტატთა ყრილობის, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებითა და საკუთარი წესდებით.

მუხლი 11. საქართველოს მთავრობა პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ვალდებულებებზე, ისევე როგორც ცენტრალური ბანკი არ არის პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობის ვალდებულებების მიმართ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ან როცა ბანკი იღებს თავის თავზე ასეთ პასუხისმგებლობას.

მუხლი 12. საქართველოს სახელმწიფო ბანკი გამოსცემს საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის სავალდებულო ნორმატიულ აქტებს და სხვა მითითებებს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.

მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 14. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ფონდები.

საქართველოს სახელმწიფო ბანკს აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც ემსახურება მის ვალდებულებათა უზრუნველყოფას. საწესდებო ფონდის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური ბანკის წესდება.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ფონდებს, რომელთა წარმოქმნა და გამოყენება რეგულირდება წესდებით.

მუხლი 15. ურთიერთობა სახელმწიფოსთან.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მთავრობის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი მისთვის მინიჭებული რწმუნებების ფარგლებში დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ საქართველოს ცენტრალური ბანკის საქმიანობაში ამ რწმუნებათა სარეალიზაციოდ.

საქართველოს მთავრობას შეუძლია შეიჩეროს საქართველოს ცენტრალური ბანკის ცალკეული გადაწყვეტილებების შესრულება ორ კვირამდე ვადით სადაო საკითხის მოსაწესრიგებლად ან საქართველოს უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 16. საქართველოს სახელმწიფო ბანკის რწმუნებანი საბელმწიფო ვალის მართვის მიმართ განისაზღვრება საქართველოს კანონით „საქართველოს ვალის შესახებ“, ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ბანკი და მისი დაწესებულებები თავისუფლდებიან ყველა სახის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების, გამოსაღებების და სახელმწიფო ბანკის (საღერბო და სბაიყოს ჩათვლით) გადახდისაგან.

მუხლი 18. საქართველოს უზენაეს საბჭოსა და საქართველოს მთავრობაში შესატანი საკანონმდებლო აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტები, რომლებიც ეხება ფულის მიმოქცევისა და საბანკო საქმიანობის საკითხებს, ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფო ბანკთან წინასწარ შეთანხმებას.

მუხლი 19. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ფუნქციები.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს ეკონომიკის რეგულირება ფულად-საკრედიტო ბერკეტების გამოყენებით;

ბ) საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარება;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვაში ფულის გაშვება და ბრუნვიდან ფულის ამოღება;

დ) საქართველოს ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია;

ე) კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების საკასო მომსახურება;

ვ) საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე კონტროლი, ანალიზი და ზედამხედველობა;

ზ) საბანკო სტატისტიკის ორგანიზაცია და წარმართვა.

მუხლი 20. ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო რეგულირება.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი საქართველოს ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო რეგულირების სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი იყენებს ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტებს დინამიური და დაბალანსებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 21. ფულად-საკრედიტო რეგულირების პროცესში საქართველოს სახელმწიფო ბანკი იყენებს საქართველოს კანონით „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ განსაზღვრულ ეკონომიკური ზემოქმედების ფორმებს და რეგულირების საშუალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ცენტრალური ბანკის წესდებით.

მუხლი 22. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ფუნქციებს შეადგენს: ფულის მიმოქცევის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში რესპუბლიკის ერთიანი პოლიტიკის გატარება, რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული გეგმიური მართვის მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, ქართული ფულის გასაცვლელი კურსის დადგენა საბჭოთა მანეთთან და სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან. კომერციული ბანკების საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა მოცემული კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ზემოგანიშნული ძირითადი ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სახბანკი მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, რესპუბლიკის კრებსითი სავალუტო გეგმის და სხვა სახელმწიფო გეგმების პროექტების შემუშავებაში; ამზადებს სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დირექტივების პროექტებს და უდგენს საქართველოს უზენაეს საბჭოს დასამტკიცებლად.

სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დირექტივების საფუძველზე სხვა ბანკებისათვის გასაცემი კრედიტების თანხისა და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის შესყიდვა-გაყიდვის, აუცილებელი რეზერვების მოცულობის ზრდის მეშვეობით ახორციელებს ფულის მიმოქცევის რეგულირებას.

მუხლი 23. საქართველოს სახბანკი წარმოადგენს რესპუბლიკის საემისიო ცენტრს, იგი ადგენს ნაღდ და უნაღდო ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობას.

მუხლი 24. საქართველოს სახბანკი ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ადგენს კომერციული ბანკებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციების წარმოების წესს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მართავს სახელმწიფო ვალს, განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ მოზიდული სასესხო საშუალებების პირობებსა და ვადებს.

საქართველოს სახბანკი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სახბანკისათვის დადგენილი ლიმიტების ფარგლებში კრედიტის ვადიანობის, ფასიანობისა და უკანდაბრუნებადობის პრინციპების საფუძველზე აკრედიტებს საქართველოს ფინანსთა სამინიტროს.

დაკრედიტების წყაროს, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობისა, ადგენს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 25. საქართველოს სახბანკი საქართველოს მთავრობის დავალებითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ახორციელებს საქართველოს ოფიციალური ოქროსა და ვალუტის რეზერვების მართვას, არგულირებს ეროვნული ფულის ერთეულის კურსს სხვა სახელმწიფოების ვალუტასთან.

მუხლი 26. საქართველოს სახბანკი ახორციელებს კონტროლს სავალუტო კანონმდებლობის შესრულებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იცავს საქართველოს ინტერესებს საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან, საერთაშორისო ბანკებთან და სხვა საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციებთან. იგი უფლებამოსილია უცხოური და საერთაშორისო ბანკებიდან, აგრეთვე სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებიდან მიიღოს სესხები, დაბანდოს „ისინი, წარადგინოს თამასუქები, დააკრედიტოს უცხოური და საერთაშორისო ბანკები და სხვა ორგანიზაციები, მიიღოს სახსრები ამ ბანკებისა და ორგანიზაციების ანგარიშებსა და ანაბრებზე, დადოს მათთან საკორესპოდენტო და სხვა ხელშეკრულებები; აიღოს თავის თავზე და გასცეს საბჭოთა და საზღვარგარეთულ იურიდიულ პირთა გარანტიები, განახორციელოს საერთაშორისო ორგანიზაციების ფულად ვალდებულებებზე წესდებით გათვალისწინებული სხვა ოპერაციები.

თავი 2.

კომერციული ბანკები

მუხლი 27. კომერციული ბანკების დამფუძნებლებს წარმოადგენენ ის იურიდიული პირები, რომლებიც აყალიბებენ ბანკებს და მონაწილეობას იღებენ მათ ფორმირებაში თავიანთი სახსრებით.

დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ ბანკები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოოპერატივების და მოსახლეობის საკრედიტო საანგარიშსწორებო და სხვა საბანკო მომსახურებას, ამ კანონის მე-2 მუხლის 1-4, 6-12 პუნქტებში გათვალისწინებული ოპერაციების მოხდენითა და მომსახურების გაწევით.

მუხლი 30. კომერციული ბანკები მოქმედებენ თავიანთი წესდებების საფუძველზე. კომერციული ბანკის წესდებას ამტკიცებს ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამ ბანკის შექმნის შესახებ. საპაიო საწყისებზე შექმნილი კომერციული ბანკის წესდებას ამტკიცებს მეპაიეების (აქციონერების) კრება.

ბანკის წესდება უნდა შეიცავდეს ბანკის საქმიანობის თავისებურებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დებულებას.

მუხლი 31. კომერციული ბანკები იხდიან გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სახბანკთან შეთანხმებით.

მუხლი 32. საბანკო მომსახურებაზე რესპუბლიკური და რეგიონალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დამფუძნებელი აქტით შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკური და ადგილობრივი კომერციული ბანკები. ასეთი ბანკების საწესდებო ფონდები იქმნება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

მუხლი 33. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საწყისებზე მიიზიდონ და დაბანდონ სახსრები დეპოზიტების, კრედიტების სახით და ერთმანეთთან აწარმოონ სხვა, მათი წესდებით გათვალისწინებული ოპერაციები.

კლიენტურის დასაკრედიტებლად და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად სახსრების უკმარისობისას კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მმართონ კრედიტისათვის საქართველოს სახბანკს. ასეთი საკრედიტო ოპერაციების განხორციელების წესსა და მაქსიმალურ თანხას განსაზღვრავს საქართველოს სახბანკი.

მუხლი 34. კომერციული ბანკის საქმიანობის შეწყვეტა ხდება იმ ორგანოს მიერ, რომლის დამფუძნებელი აქტითაც შექმნილია იგი.

საქართველოს სახბანკს შეუძლია დააყენოს საკითხი ბანკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ იმ ორგანოს წინაშე, რომლის დამფუძნებელი აქტითაც შექმნილია სახელმწიფო კომერციული ბანკი, როდესაც იქმნება ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 35. კომერციული ბანკების ძირითადი ამოცანებია სახელმწიფო შეკვეთების, რესპუბლიკის, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების უზრუნველყოფა საკრედიტო რესურსებით, სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარების სფეროში სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

მუხლი 36. რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიძლება შეიქმნას კომერციული ბანკები საპაიო საწყისებზე. ბანკების ძირითადი და საბრუნავი სახსრები ყალიბდება დამფუძნებლებისა და მეპაიეების შენატანების ხარჯზე.

მუხლი 37. საპაიო საწყისებზე არსებული კომერციული ბანკები თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მათი კუთვნილი მთელი ქონებით და არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა დამფუძნებლებისა და მეპაიეების ვალდებულებებზე. დამფუძნებლები და მეპაიეები, თუ მათ წესდებებში სხვა წესი არ არის გათვალისწინებული, არ აგებენ პასუხს ბანკების ვალდებულებებზე, საპაიო საწყისებზე შექმნილ კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების დაცვაზე და არ იძლევიან სახელმწიფო გარანტიებს.

მუხლი 38. ერთობლივ ბანკში საქართველოსა და უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილი განისაზღვრება საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ. ერთობლივი ბანკების საქმიანობას არეგულირებს წინამდებარე კანონი, ხოლო იმ საკითხებში, რომელსაც ვერ მოიცავს ეს კანონი — საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 39. კომერციული ბანკები იქმნებიან საპაიო საწყისებზე, ხოლო ერთობლივი ბანკები საქართველოს სახბანკის მიერ გაცემული საფუძველზე ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 40. საქართველოს სახელმწიფო ბანკი უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს კომერციული ბანკის შექმნაზე გაცემული ნებართვა იმ შემთხვევაში, როდესაც:

— გამოირკვევა იმ მონაცემების უსუსტობა, რომელთა საფუძველზეც გაიცა ნებართვა;

— ფერხდება ბანკის საქმიანობის დაწყება ერთ წელზე მეტი ხნით;

— დაირღვევა ბანკის ფინანსური მდგრადობისა და კრედიტორების ინტერესების დაცვის შესახებ ამ კანონის 42-ე მუხლში გათვალისწინებული დებულებები;

— სკილდებიან ბანკის წესდებით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებს;

— წარმოადგენენ არასწორ მონაცემებსა და ანგარიშებებს.

ნებართვის გამოთხოვა მოქმედებს, როგორც გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

გადაწყვეტილება ნებართვის გამოთხოვაზე შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახარბიტრაჟში.

მუხლი 41. საპაიო საწყისებზე შექმნილი კომერციული ბანკები მოვალენი არიან წინასწარ შეატყობინონ საქართველოს სახბანკს დამფუძნებელ ორგანიზაციებში შესატანი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 42. საპაიო საწყისებზე შექმნილი კომერციული ბანკების რეორგანიზაცია ან მათი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია), გარდა ამ კანონის სხვა პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა, შეიძლება მოხდეს მეპაიეთა საერთო კრების ხმის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

კარი IV

ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და მისი კრედიტორების ინტერესების დაცვა

მუხლი 51. ბანკის ფინანსური სიმტკიცის უზრუნველყოფისა და მისი კრედიტორების ინტერესების დაცვის მიზნით კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს სახბანკის მიერ დამტკიცებული შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები, მათ შორის:

— საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

— ბანკის საკუთარი სახსრების ოდენობისა და მისი აქტივების თანხის ზღვრული შეფარდება;

— ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები;

— აუცილებელი რეზერვების ოდენობა, რომლებიც მოთავსებულნი არიან საქართველოს სახბანკში სბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების (ფულადი მასის) მოცულობის რეგულირებას.

— კომერციული ბანკებისათვის გაცემული კრედიტების მოცულობის ცვლილებით;

— ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის შეძენითა და გაყიდვით;

— საქართველოს სახბანკში კომერციული ბანკების მიერ დაბანდებული აუცილებელი რეზერვების ნორმების ცვლილებით;

— თავის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით;

მუხლი 46. საქართველოს სახბანკი ბანკებს შორის ანგარიშსწორების განსახორციელებლად კომერციულ ბანკებს თავისთან უხსნის ანგარიშსწორების (საკორესპოდენტო) და სხვა ანგარიშებს.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ანგარიშსწორება განახორციელონ აგრეთვე ერთმანეთთან გახსნილი საკორესპოდენტო ანგარიშების ან საანგარიშსწორებო პალატების მეშვეობით, საქართველოს სახბანკში ამ ბანკების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დაფარვით გადარიცხვის გზით.

მუხლი 47. კომერციული ბანკების მიერ სხვა ბანკებისათვის კრედიტების გაცემა, სხვა ბანკების სასარგებლო გადახდათა განხორციელება და ანგარიშებიდან ნაღდი ფულის (ფულადი ბილეთებისა და მონეტების) მიღება სწარმოებს საქართველოს სახბანკში და სხვა ბანკებში გახსნილი მათს ანგარიშსწორების (საკორესპოდენტო) ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთის ფარგლებში. ანგარიშზე ფულადი სახსრების უმარისობისას კომერციული ბანკი სახელშეკრულებო საფუძველზე მოიზიდავს საკრედიტო რესურსებს კლიენტურისა, სხვა კომერციული ბანკებისა და საქართველოს სახბანკიდან ამ კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 48. კომერციული ბანკების ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთებს ბანკები დამოუკიდებლად აწესებენ ამ კანონით მოცემული დებულებების გათვალისწინებით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დავალებებით ოპერაციების წარმოებისას კომერციულ ბანკებს რესპუბლიკური და ადგილობრივი პროგრამების ფარგლებში შეუძლიათ წაახალისონ ცალკეული ორგანიზაციები, დარგები, ან რეგიონები მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე უფრო შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით. განსხვავებას მოქმედ და შეღავათიან საპროცენტო განაკვეთებს შორის კომერციულ ბანკს შესაბამისი (პროგრამის მიხედვით) ბიუჯეტი უნაზღაურებს.

მუხლი 49. საქართველოს სახბანკი საკრედიტო ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების დონის რეგულირებას ახორციელებს მის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გზით.

მუხლი 50. საქონელსა და მომსახურებაზე ფასების სტაბილიზაციის მიზნით საქართველოს სახბანკი უფლებამოსილია განაკვეთების რაკვეს მინიმალური და მაქსიმალური საზღვრების დადგენით შემოიღოს კომერციული ბანკების ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა, აგრეთვე დააწესოს ბანკების მიერ სახალხო მეურნეობისათვის კრედიტების გაცემის ლიმიტები.

კარი IV

ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და მისი კრედიტორების ინტერესების დაცვა

მუხლი 51. ბანკის ფინანსური სიმტკიცის უზრუნველყოფისა და მისი კრედიტორების ინტერესების დაცვის მიზნით კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს სახბანკის მიერ დამტკიცებული შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები, მათ შორის:

— საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

— ბანკის საკუთარი სახსრების ოდენობისა და მისი აქტივების თანხის ზღვრული შეფარდება;

— ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები;

— აუცილებელი რეზერვების ოდენობა, რომლებიც მოთავსებულნი არიან საქართველოს სახბანკში სბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების (ფულადი მასის) მოცულობის რეგულირებას.

— კომერციული ბანკებისათვის გაცემული კრედიტების მოცულობის ცვლილებით;

— ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის შეძენითა და გაყიდვით;

— საქართველოს სახბანკში კომერციული ბანკების მიერ დაბანდებული აუცილებელი რეზერვების ნორმების ცვლილებით;

— თავის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით;

მუხლი 55. ბანკის საკუთარი სახსრების და მისი აქტივების თანხას შორის ზღვრული თანაფარდობის გაანგარიშებისათვის საქართველოს სახბანკი კონკრეტული საბანკო ოპერაციების გატარების რისკის გათვალისწინებით აწესებს აქტივების სხვადასხვა კატეგორიებისა და აქტივებთან გათანაბრებული პირობითი ვალდებულებების შეფასების სპეციალურ კოეფიციენტებს.

მუხლი 56. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები წესდება საკრედიტო დაბანდებათა ვადებსა და შესაბამისი საკრედიტო რესურსების ვადებს შორის ნორმატიული თანაფარდობის სახით.

მუხლი 57. მინიმალური რეზერვების ოდენობა წესდება პროცენტებში ბანკის მიერ მოზიდული სახსრების საერთო თანხასთან ან ასევე პროცენტებში მოზიდული სახსრების მატებასთან.

ბანკები მოვალენი არიან იქონიონ საქართველოს სახბანკის ანგარიშებზე დადგენილი ოდენობით სახსრების ნაშთი.

მუხლი 58. ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ოდენობა დგინდება მსესხებლების საქმიანობის ხასიათისა და მათი გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით განსაზღვრული პროცენტის სახით ბანკის საკუთარი ხასსრების საერთო თანხიდან. გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ამ მსესხებლებისათვის გაცემული ყველა სახის კრედიტის საერთო თანხა, აგრეთვე მისი დავალებით გაცემული გარანტიები და სხვა ვალდებულებები.

მუხლი 59. მოქალაქეთა ანაბრების დაზღვევის მიზნით ბანკის გადახდისუნარობის შემთხვევაში კომერციული ბანკები გადარიცხავენ დადგენილი ნორმების მიხედვით მოგების ნაწილს (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებამდე) ანაბრების დაზღვევის საერთო საბანკო ფონდში, რომელიც საქართველოს სახბანკის ნებართვაშია.

მუხლი 60. რომელიმე კომერციული ბანკის მიერ ამ კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს სახბანკი აწესებს მისი გასწორების ვადებსა და პირობებს.

ნორმატივების სისტემატური დარღვევების, საქართველოს სახბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევებში და როცა ბანკი სანაგარიშგებო წელს ზარალიდან დაამთავრებს, ან შეიქმნება პირობები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ბანკის კრედიტორების ინტერესებს, საქართველოს სახბანკს შეუძლია დააყენოს საკითხი იმ ორგანოს წინაშე, რომელთა დამფუძნებელი აქტითაც შექმნილია სახელმწიფო კომერციული ბანკი, კერძოდ:

— ბანკის გაჯანსაღებისათვის ღონისძიებათა გატარების შესახებ;

— ბანკის რეორგანიზაციის შესახებ;

— ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სახბანკი უფლებამოსილია ეკონომიკური სანქციის სახით გაუზარდოს კომერციულ ბანკს აუცილებელი რეზერვების ნორმა, აგრეთვე გამოითხოვოს საპაიო საწყისებზე კომერციული ბანკის შექმნის ნებართვა.

მუხლი 61. ბანკები შესაძლო დანაკარგების დასაფარავად მოგებიდან ქმნიან რეზერვს.

რეზერვები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მათი წარმოქმნის მომენტისათვის არსებულ უიმედო და საეჭვო დავალებასთან, იქმნებიან მოგებიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ და აისახებიან ბანკის საკუთარ სახსრებში.

ბანკები ქმნიან აგრეთვე სპეციალური რეზერვებს ამ ზარალის დასაფარავად, რომელთა წარმოება დაკავშირებულია უიმედო ან საეჭვო დავალიანების ანაზღაურებასთან. ასეთი რეზერვები იქმნებიან მოგებიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებამდე და მათი ოდენობა ყოველწლიურად შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს სახბანკთან.

მუხლი 62. საქართველოს ბანკები იცავენ თავიანთი კლიენტებისა და კორესპოდენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების საიდუმლოებას, ბანკის ყველა მოსამსახურე ვალდებულია საიდუმლოდ დაიცვას მისი კლიენტებისა და კორესპოდენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების საიდუმლოება საქართველოს სახბანკის წესდებით გათვალისწინებულ ნორმების სრული შესაბამისობით.

მუხლი 63. ბანკში არსებული იურიდიული პირების ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებს ყადაღა შეიძლება დაედოთ მხოლოდ სამართლებლო ორგანოების ან არბიტრაჟის დადგენილებით და სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო მათზე იძულებითი გადახდევინების მიყენება — მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლით, არბიტრაჟის ბრძანებით და სხვა აღმასრულებელი საბუთებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში — საფინანსო ორგანოების და სხვა ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებს შეიძლება დაედოს ყადაღა ან მიეყენოს იძულებითი გადახდევინება მხოლოდ სასამართლოსა და არბიტრაჟის გადაწყვეტილებების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბანკში არსებულ მოქალაქეთა ფულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი ბანკების შესახებ

(დასასრული)

მუხლი 74. საქართველოს სახბანკი ნაღრი საკრედიტო გეგმის შესრულებაზე კონტროლის განხორციელების ფარგლებში აკონტროლებს ბანკების მიერ უცხოელ კრედიტორების წინაშე დავალიანების ლიმიტების დაცვას. ამ ლიმიტის საერთო თანხას ამტკიცებს და ანაწილებს ბანკების მიხედვით საქართველოს სახბანკი.

მუხლი 75. ბანკებს შეუძლიათ შექმნან სავალუტო ფონდები უცხოურ ვალუტაში მიღებული მოგების ხარჯზე.

ბანკები სავალუტო ფონდების სახსრებს იყენებენ სამანკო საქმის განვითარებისათვის, საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და სხვა მიზნებისათვის.

ბანკებს შეუძლიათ საზღვარგარეთ შეიძინონ აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე იყვნენ საზღვარგარეთ სამანკო დაწესებულებების დამფუძნებლები და მეპაიეები.

ბანკებს შეუძლიათ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ნებართვით საზღვარგარეთ გახსნან თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლობები.

კარი VII

მოსახლეობის ანაბრები

მუხლი 76. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკრედიტო რესურსებად მათი გამოყენების მიზნით მიიზიდონ მოსახლეობის ფულადი სახსრები.

ანაბრის მიღება ხორციელდება ბანკების მიერ მეანაბრისათვის საანაბრო დოკუმენტის გაცემით.

მუხლი 77. მეანაბრეები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, სხვა ქვეყნების მოქალაქეები, აგრეთვე პირები, რომელთაც არა აქვთ მოქალაქეობა.

მეანაბრეს შეუძლია განაგოს თავისი ანაბარი, მიიღოს ანაბარზე შემოსავალი პროცენტის სახით ან ბანკის მიერ შეთავაზებული სხვა ფორმით, განახორციელოს უნაღდო ანგარიშწორება.

კომერციული ბანკების მიერ მიღებული ანაბრების გამოყენებისწესს განსაზღვრავს მათი წესდებები.

მუხლი 78. მეანაბრე შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პირი. არასრულწლოვანი, რომელმაც თვითონ შეიტანა ანაბარი თავის სახელზე დამოუკიდებლად განაგებს ამ ანაბარს.

სხვა პირის მიერ არასრულწლოვანის სახელზე შეტანილ ანაბრებს განაგებენ:

არასრულწლოვანის 15 წლის ასაკის მიღწევამდე — მშობლები ან არასრულწლოვანის სხვა კანონიერი წარმომადგენლები;

— არასრულწლოვანის მიერ 15 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ — თავად არასრულწლოვანი, ოღონდ მისი მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით.

მუხლი 79. ანაბრებიდან მიღებული შემოსავლები არ ექვემდებარებიან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებით დაბეგვრას, ანაბრების მემკვიდრეების ხელში გადასვლასთან დაკავშირებული ყველა საბუთი თავისუფალია სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან.

მუხლი 80. სახელმწიფო იძლევა კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრისა და მათი მეანაბრეების პირველი მოთხოვნისთანავე უკან დაბრუნების გარანტიას.

მუხლი 81. მეანაბრეს აქვს უფლება გააკეთოს საანდერძო განკარგულება მისი სიკვდილის შემთხვევაში ანაბრის ნებისმიერი პირისათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში ანაბარი არ შედის სამემკვიდრეო ქონების შემადგენლობაში. ასეთ ანაბრებს ბანკები გასცემენ საანდერძო განკარგულებაში მითითებულ პირზე პასპორტის ან მისი შემცველი სხვა დოკუმენტის წარმოდგენისას.

ანაბარი, რომელზეც არ არის გაკეთებული სამემკვიდრეო განკარგულება, მეანაბრის სიკვდილის შემთხვევაში გაიცემა მემკვიდრეებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი VIII

აღრიცხვა ბანკებში

მუხლი 82. ბანკებში აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს სახბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 83. ბანკები აქვეყნებენ სპეციალურ გამოცემაში წლიურ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებას საქართველოს სახბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და ვადებში, ამ უკანასკნელის სარეზერვო სამსახურის ან საქართველოს სახბანკთან შეთანხმებით სხვა რომელიმე სარეზერვო თუ აუდიტორიული ორგანიზაციის მიერ მათში წარმოდგენილი მონაცემების სისწორის დამოწმების შემდეგ.

კარი IX

კონტროლი ბანკების საქმიანობაზე

მუხლი 84. საქართველოს სახბანკი ახორციელებს კონტროლს კომერციული ბანკების საქმიანობაზე ამ კანონის შესაბამისად.

საკონტროლო ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს სახბანკს შეუძლია დანიშნოს კომერციული ბანკების ოპერაციების ყოვლისმომცველი ან შერჩევითი შემოწმებები.

კომერციული ბანკების საქმიანობის შემოწმება ხორციელდება საქართველოს სახბანკის სარეზერვო სამსახურის ან საქართველოს სახბანკთან შეთანხმებით სხვა რომელიმე სარეზერვო ან აუდიტორიული ორგანიზაციის მიერ.

მუხლი 85. კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლი გულისხმობს:

— ბანკის ბალანსის ანალიზის ჩატარებას;

— ბანკების ფინანსური სიმტკიცის უზრუნველსაყოფად მათი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლას;

— ბანკების აქტიური ოპერაციების ხარისხის შემოწმებას;

საქართველოს სახბანკს შეუძლია კონტროლის ფარგლებში დაავალოს კომერციულ ბანკებს მიიღონ აუცილებელი ზომები მყარი მდგომარეობის მისაღწევად, კერძოდ, გაზარდონ სარეზერვო ფონდები, განახორციელონ აქტივების სტრუქტურის შეცვლა და სხვა.

კომერციული ბანკები მოვალენი არიან წარუდგინონ საქართველოს სახბანკს ბალანსები, გეგმები, ანგარიშგებები და ზედამხედველობის გასაწევად სხვა აუცილებელი საბუთები.

კარი X

მოცემული კანონის ამოქმედება

მუხლი 86. ამ კანონის ძალაში შესვლის წესს განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი საბჭო.

• • •

აღნიშნული კანონის პროექტი შეიმუშავა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა. ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. პატეიშვილი, ჯგუფის წევრები: გ. ჯიღაური, ნ. ფიფია, რ. კაკულია, ი. შალამბერიძე, ნ. ბაგრატიონი, თ. შარიქაძე.

უკსიდეთში

საღამური იუწყება

8 ოქტომბერი

კრიზისი სპარსეთის ყურეში

ბაღდადი. ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი შეხვდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს იასირ არაფატს. როგორც ერაყის საინფორმაციო სააგენტო ინა იუწყება, საუბრის დროს განიხილეს სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობა და პალესტინის პრობლემა. როგორც ცნობილია, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა პროერაყული პოზიცია დაიკავა ახლანდელ კრიზისში.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა გამოაცხადა, რომ ეგვიპტის უშიშროების სამსახურმა უკვე მოსპო ერაყელთა და პალესტინელთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ყალბი პასპორტებით შემოაზავნეს ეგვიპტეში ქვეყნის საშინაო-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით. როგორც ცნობილი გახდა ახლო აღმოსავლეთში ამერიკელ მოქალაქეთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობის საფრთხესთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ეგვიპტეში იმყოფებიან, მიეცათ მითითება საზღვაგადღებრივ ადგილებში იარონ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად და სამოქალაქო ტანსაცმლით.

იორდანიამ დაიწყო ახალი ადგილების მომზადება ბანაკებისათვის, სადაც დაბინავდება 150 ათასამდე ერაყელი და ქუვეითელი ლტოლვილი. ამჟამად იორდანიაში ყოველდღიურად 14 ათასამდე ლტოლვილი ჩადის.

● აშშ

ავარია ატომურ ელექტროსადგურში

ნიუ-იორკი. ატომური ელექტროსადგურის „ინდიან-პოინტის“ ტერიტორიიდან ერთ-ერთი რეაქტორის ავარიის შემდეგ ევაკუირებულია ასზე მეტი მუშა-მოსამსახურე. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, გაურკვეველი მიზეზით ორი სპეციალური კვანძი, რომლებზეც ურანის ორკანგის შემცველი 400 მაღალრადიაქტიული ღერო იყო დაყენებული, რეაქტორის გულიდან გამოვიდა და მის თავზე გაჩერდა.

საშიში ის არის, რომ ჯერ აღმოუჩენელი ტექნიკური გაუმართაობის გამო შეიძლება ორივე კვანძი ნებისმიერ მომენტში ძირს ჩამოვარდეს, რაც გამოიწვევს რეაქტორიდან რადიაქტიური ნივთიერებების გაჟონვას. სპეციალისტებმა შექმნილ სიტუაციას „საკმაოდ სერიოზული“ უწოდეს.

ატომური ელექტროსადგურის ადმინისტრაციამ მომზადარი ამბავი ნიუ-იორკის შტატის ხელისუფალთ და ბირთვული რეგულირების კომისიას აცნობა, რომელიც კონტროლს უწევს ბირთვულ მოწყობილობას ქვეყნის ელექტროსადგურებში. ახლა „ინდიან-პოინტში“ ყველა სამუშაო შეწყვეტილია. სპეციალისტები ავარიის ლიკვიდაციას შეუდგნენ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ნიუ-იორკი. ამერიკის საავტომობილო კორპორაციები თანდათან უთმობენ თავიანთ პოზიციებს შეერთებული შტატების ბაზარზე იაპონელ კონკურენტებს. აქ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, ხელტემბერში კორპორაცია „ჯენერალ მოტორზის“ ავტომობილთა გასალება გასული წლის ამავე თვესთან შედარებით შემცირდა 6,5 პროცენტით, „ფორდის“ კომპანიისა — 2,7 პროცენტით, ხოლო „კრაისლერისა“ — 9,8 პროცენტით.

ამავე დროს, იაპონიის „ჰონდა მოტორზმა“ წინა თვის მანძილზე შეერთებულ შტატებში გაპყიდა 34.2 პროცენტით მეტი ავტომობილი, ვიდრე გასული წლის ხელტემბერში, „ტოიოტამ“ — 38,3 პროცენტი და „ნისანმა“ — 84,8 პროცენტი. ყველა ეს ავტომობილი წარმოებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში განლაგებულ, მაგრამ იაპონიის კომპანიების კუთვნილი საწარმოების საამქროებში უკანასკნელი თვეების მანძილზე პროდუქციის გამოშვება იაპონიის საავტომობილო ქარხნებში განუხრელად იზრდება, ხოლო ამერიკისაში — მცირდება.

ტოკიო. გოლფს — ამ შეხანიშნავ, მიმზიდველ სპორტულ თამაშს, რომელიც ავითარებს ნებისყოფას და ჩუნინობას, იაპონიაში მრავალი მომდევარი ჰყავს. სწორედ გოლფის სიყვარულს შესწირა თავისი წოდება და საკმაოდ მაღალი თანამდებობა იაპონიის ჯალაქ მუროორანის (მოკიდოს კუნძული) პოლიციის განყოფილების უფროსმა.

როგორც იაპონიის პრესა იუწყება, მასთან ერთად სერიოზული ხასჯილი დაედო აგრეთვე 24 პოლიციელს. მათ ორი დღე გაატარეს გოლფის თამაშში, ნაცვლად იმისა, რომ ემორიგეთან ქალაქის გზებზე და გამოეჩინათ ჯერთვანი სიფხიზლე, როდესაც ქვეყანაში გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების კამპანია მიმდინარეობდა. სიტუაციის ანეგდოტური ხასიათის მიუხედავად, ჰოკაიდოს პოლიციის სამმართველოში ინციდენტს უაღრესად სერიოზულად განიხილავენ. მით უმეტეს, რომ როგორც გამოირკვა, ეს თურმე არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მუროორანის პოლიციის განყოფილების მოხამსახურეებმა უგულებელყვეს თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა.

ფოტოინფორმაცია

ამ უცნაურად აღმურვილ ავტომობილს მისმა შემქმნელებმა „შატლი“ უწოდეს. საცდელმა მოდელმა მოწონება დაიმსახურა ბონში და მალე გერმანიის ქალაქის ქუჩებში გამოჩნდება ეს ტექნიკა, რომელიც საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ნაგავს იღებს. იგი თავისი წინამორბედისაგან მუშაობის დიდი ეფექტიანობით გამოირჩევა.

საერთოდ, ეს ოპერაცია ახალი მეთოდით ორ ეტაპად იყოფა: თვით ნაგავს შეგროვება და შემდეგ მისი ტრანსპორტირება. „შატლი“ მხოლოდ პირველ ოპერაციას ასრულებს, ამით იზოგება ნაგავსაყრელამდე გასავლელი გზა, — საწვავი და ა. შ.

მანქანა აბვეტილი ნაგავით აივსებს მსხვილ კონტეინერს, შემდეგ გადაიტანს მას იქვე, მახლობელ პუნქტში, აიღებს ახალ კონტეინერს და კვლავ აგრძელებს მუშაობას. „შატლი“ აღჭურვილია ჩატვირთვის ავტომატიზებული სისტემით. ასე რომ, მუშას, რომელიც უწინ „ხაფეხურზე“ იყო შემომდგარი, ახლა სპეციალურ კაბინაში მოწყობილ სამართველოში უხდება ურთიერთობა.

რაც შეეხება სავსე კონტეინერებს, ისინი ნაგავსაყრელამდე სხვა მანქანებს მიაქვთ. ვარაუდობენ, რომ საქმის ასეთი ორგანიზაცია ნაკლებ ნაგავსაყრელებს საჭიროებს.

იდუმალი არსება — მეთევზეთა ბადეში

ლონდონი. შემზარავი წუთები განიცადა ხუთმა მეგადურმა, რომლებიც ზღვაში იყვნენ გასული შოტლანდიის ქალაქ აბერდინის მახლობლად. რაღაც იდუმალმა არსებამ თუ საიდუმლო ობიექტმა, ბადეში რომ გახვეულიყო, მკვეთრად შეუცვალა კურსი 80-ტონიან თევზსაჭერ გემს „მორეი ადვენჩურერს“. გემი 20 გრადუსზე მეტად გადაიხარა.

სიტუაციამ მყისვე მოაგონა მეგადურებს სცენები ცნობილი ფილმიდან „ხანა“, რომლის მთავარი „გმირი“ გიგანტური კაციჭამია ზვიგენი, თავზარდაცემული მეზღვაურები ძმიმედ დატვირთული 25-მეტრიანი გემის მოაჯირებს ჩაეჭიდნენ, რომელსაც რაღაც იდუმალი ძალა ექანა კვანძი სიჩქარით მიაქანებდა ჟანობი მიმართულებით. ეკიპაჟმა შეძლო რაციით გადაეცა აბერდინის სანაპირო დაცვისათვის სასოწარკვეთილი მოწოდება, გვიშველეთო, მაგრამ უცნობმა „ბუქსირმა“, რომელმაც დაახლოებით ორი კილომეტრი ათორა გემი, ბოლოს, როგორც ჩანს, თავი დაანება ბადეს. მეგადურთაგან არავინ არ დაშავებულა.

სანაპირო დაცვის წარმომადგენლის აზრით, მთელი ეს ისტორია საიდუმლოებით არის მოცული. „საეჭვოა, ეს ზვიგენი ყოფილიყო, — თქვა მან, — არც ვეშაპი იქნებოდა. ისინი ათასში ერთხელ თუ შემოვლენ ხოლმე ჩვენს წყლებში“. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა საქმე ეხებოდეს წყალქვეშა ნავს, ვინაიდან სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალები ამასდროს არ აცნობებენ სანაპირო დაცვას თავიანთი სუბმარინების გადაადგილების ამბავს.

... რომ აღსრულდეს წინაპართა ნაოცნებარი

ერის სიყვარული

ბაბაშა. (საქინფორმის კორ. ზ. ფხაკაძე). „კონსტანტინეობა“— თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული გაიმართა მის მშობლიურ აბაშაში.

მწერლის სახლ-მუზეუმთან შეიკრიბნენ კონსტანტინე გამსახურდიას თაყვანისმცემლები, საქართველოს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს მწერლის შემოქმედების წარუვალ მნიშვნელობაზე, თანამედროვე მსოფლიო პროზაში მის წვლილზე.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების, მისი ოჯახის შესახებ უამბო შეკრებილთ ბატონი კონსტანტინეს სიყმის მეგობარმა გრიგოლ კუპრავამ.

მწერლის კარ-მიდამოში გაიმართა კონცერტი თეატრისა და ესტრადის ცნობილ მსახიობთა მოწაფლეობით. მოიწყო ხალხური თამაშები და ასპარეზობანი. შემდეგ დღესასწაულმა რაიონულ ცენტრში გადაინაცვლა. მასში მონაწილეობა მიიღო რაიონის თანამონათესავე ცხოვრებმა.

ეს ტრადიციული დღესასწაული მწერლისადმი ხალხის სიყვარულის კიდევ ერთი ჭეშმარიტი გამოვლინება გახდა.

საზოგადოება „ლეჩხუმის“ დამფუძნებელი ყრილობა

ექვს ოქტომბერს გაიმართა საზოგადოება „ლეჩხუმის“ დამფუძნებელი ყრილობა. ფორუმზე თქვეს, თუ რა სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აქვს ცაგერის რაიონს, რაოდენ დაბალია რეგიონის ცხოვრების დონე, რასაც არანაკლებ შეუწყო ხელი სტიქიურმა უბედურებებმა. აღინიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სავაჭრო ქსელის განვითარების მრავალი საკითხი. ცუდ მდგომარეობაშია გზები, ბევრი სოფელი კი მთლად მოკლებულია ავტობუსების მარშრუტებს.

რაიონისათვის ამ და სხვა საარსებო მნიშვნელობის პრობლემებს გადაჭრა იქნისრა საზოგადოება „ლეჩხუმმა“ თავის უპირველეს და ძირითად ამოცანებად იგი მიიჩნევს ამ რეგიონის თავისთავადობის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას. საზოგადოება „ლეჩხუმი“ აპირებს ხელი შეუწყოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სამეურნეო საქმიანობის ტრადიციულ სახეობათა აღორძინების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, გაატაროს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა და ხელი შეუწყოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებას, იზრუნოს ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და დაცვისათვის, განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა.

ყრილობაზე გამოვიდნენ ჯ. ჩარკვიანი, ლ. ჩარკვიანი, ნ. ჩიქოვანი, აგრეთვე საზოგადოებების „რუსთაველისა“ და „რაჭის“ სახელით თ. კვაჭანტირაძე და ზ. ქაფიანიძე.

პირველი ათი ათასი მანეთი საზოგადოება „ლეჩხუმის“ ანგარიშზე გადარიცხა თბილისის ი. ჭავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ყრილობაზე განიხილეს და დამტკიცეს წესდება, აირჩიეს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები.

საზოგადოება „ლეჩხუმის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ანზორ ბურჯანაძე.

რიტა დოლიძე,
საქინფორმის კორ.

აგუგუნდა ქრისტეფორეს ზარი

ქალაქ ტყიბულის მახლობლად მდებარე 700-კომლიან, მაღალმთიან სოფელ მუხურის მკვიდრთ არ ახსოვთ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა. სოფელს ეწვია გერმანიის ქალაქ მიუნხენში მცხოვრები ქართველი ქრისტეფორე კირკიტაძე თავისი მეუღლით, ვაჟიშვილებითა და სხვა თანმხლები პირებითურთ. ეს არ იყო შმობლიურ სოფელში ქრისტეფორე კირკიტაძის ჩვეულებრივი სტუმრობა...

ჩვენი თანამემამულის ცხოვრებაზე, მის ფათერაკებით აღსავსე ახალგაზრდობის წლებსა და მომავალ საქმიანობაზე ამას წინ ვრცლად წერდა გაზეთი „კომუნისტი“.

ერთი წლის წინ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიუხენენში ყოფნისას შეხვდა ქრისტეფორე კირკიტაძეს, რომელმაც მას გაანდო დიდი ხნის ოცნება, სოფელ მუხურისათვის სამრეკლო ზარის გამოგზავნის შესახებ. უწმინდესთან შეთანხმების შემდეგ ზართან ერთად ბატონმა ქრისტეფორემ სამრეკლოს მშენებლობის პროექტიც გამოგზავნა. საერთო ენთუზიაზმმა მოიცვა დიდი და პატარა. და აი, დადგა ნანატრი ზარის კურთხევის დღე. სოფელ მუხურის ოქრონის წმინდა გიორგის ნანგრევებად ქცეული ეკლესიის ეზოში შეიკრიბნენ მუხურის მკვიდრნი, აგრეთვე, ტყიბულიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან მოწვეული სტუმრები. სოფელს ეწვივნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ნიკორწმინდელი და რაჭა-ტყიბულის მთავარეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე, ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე ჭყონდიდელი და საქართველოს საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლები. მათ გადაიხადეს ზარის კურთხევის პარაკლისი: უწმინდესმა პირველი ზარის შემოკვრის უფლება ქრისტეფორე კირკიტაძეს მიაკუთვნა. მამა უფროსმა შვილმა, სეკერიანემ შეცვალა, შემდეგ უმცროსმა — ბაჭუამ (ქრისტეფორემ). მას საყვარელი დედა ტერეზა შეენაცვლა. სიხარულის განცდამ და ცრემლმა მოიცვა მუხურის ულამაზესი მთები.

სამრეკლოს თავზე ფრიალებდა საქართველოს ეროვნული დროშა, მასვე ამშვენებდა ცნობილი მხატვრის ოთარ ლითანიშვილის მიერ შესრულებული ჯვარიც.

ზარის გუგუნს ტკბილი ქართული სიმღერები ჩაენაცვლა.

თავი სიზმარში მგონიაო, — გვითხრა დამშვიდობებისას ამ შეხვედრის შთაბეჭდილებებით დამძიმებულმა და გახარებულმა კაცმა, ქრისტეფორე კირკიტაძემ, რომელმაც შვიდ ათეულ წელს გადაბიჯა.

• • •

ამავე დღეს სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ტყიბულში ქალაქის ყოფილი ეკლესიის ადგილსამყოფელს ეწვივნენ. მათ მიესალმნენ ნიკორწმინდელი და რაჭა-ტყიბულის მთავარეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე და სახალხო დეპუტატთა ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თამაზ ცირეკიძე. ჩატარდა კურთხევის რიტუალი. შემდეგ ისინი ეწვივნენ საეპარქიო რეზიდენციას, სადაც უნდა აშენდეს მცირე ეკლესია.

გივი გეწაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ქრისტეფორე კირკიტაძე თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად სოფელ მუხურაში.

ფელიქს კრიმსკის ფოტო.

უმაღლესი სკოლა

ალბათ, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა საზოგადოების უდიდესი ნაწილის არასწორი შეხედულება უმაღლეს განათლებაზე: რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შვილი უმაღლეს სასწავლებელში „მოაწყოს“ და როგორმე დიპლომი აიღებინონ. ის კი სულაც არ აინტერესებთ, რა ცოდნა აქვს მათ პირმშოს.

ნახეთ, რა ხდება, განსაკუთრებით ეს ბოლო ორი წელიწადია, მასალები გამოცდების დროს: მშობლებითა და ნათესავებით აღჭურვილ-აღჭურვილი, უმაღლესი სასწავლებლები, გამომცდელებისა და გამოსაცდელების დაპირისპირება — თითქოს ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ... ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ უნივერსიტეტის კედლებს ქვებიც კი დაუშინეს!

მოთხოვნა: ყველა აბიტურიენტი სტუდენტი უნდა გახდეს! მაგრამ სჭირდება კი საქართველოს ამდენი სტუდენტი? იმსახურებს ყველა აბიტურიენტი სტუდენტობას ან აქვს კი უნივერსიტეტს ისეთი სასწავლო ბაზა, რომ ყველა სწავლის მსურველი დააკმაყოფილოს? ეს კითხვები ნამდვილად არ აღელვებს არც აბიტურიენტს და არც მის მშობელს. თანაც სწავლას „მოწყურებულ“ ახალგაზრდას მაშინვე უქრება სწავლის სურვილი, როგორც კი სტუდენტის ბილეთის მფლობელი გახდება.

გახსენდება: ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი პროფესორი, ფიზიკოსი როლფ გროსი. ვკითხე, რას აკეთებდა მისი ვაჟი კორნელიუსი. მითხრა, ძალიან მძიმე დღეშია, ჰარვარდის უნივერსიტეტში უნდა შესვლა და მიმღებმა კომისიამ ას-ასი ამოცანა და მაგალითი გამოუგზავნა ფიზიკასა და მათემატიკაში გადასაწყვეტადო. ეხლა შინ ზის და მუშაობსო. თუ საჭირო რაოდენობის ამოცანების ამოხსნას შესძლებს, მაშინ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებაო. გაკვირვებული და წარმოვიდგინე, რომ ასეთი რამ საქართველოში მოხდეს! ასეთ მშობელს ხომ გიჟად გამოაცხადებენ! როგორ თვითონ ფიზიკოსია, მისი შვილი სახლში საგამოცდო ამოცანებს იყვანს და სულ ოდნავი ხელის წაშველება უდა, რომ ასეთი პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს, ამას კი საქართველოში გამოსცირნება გადაუწყვეტიაო. მოგვიანებულ გავიგე, რომ ამ ვაჟს დაგროვილი ქულები არ ყოფნოდა და ჰარვარდის უნივერსიტეტში ვერ მოხვედრილა, სამაგიეროდ იქ მიღებული ნიშნები საკმარისი აღმოჩნდა სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში შესასვლელად.

...ადვილი წარმოსადგენია, რა უსაზღვრო გაოცება დაეუფლება ნებისმიერ ამერიკელს ან ევროპელს, რომ გაიგოს, რა ხდება ამ ბოლო დროს ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტის გარშემო. ორი ათასზე მეტი აბიტურიენტი, თავგამოდებული მშობლების თანხლებით, მოითხოვს მოსამზადებელი განყოფილებიდან ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩარიცხვას! რატომ უგამოცდოდ? — იმიტომ, რომ ცუდად გვასწავლიან და ჩავიჭრებით ან ჩაგვჭრიანო...

ცხადია, მოსამზადებელი განყოფილებები კარგა ხანია გასაუქმებელია. მაგრამ როცა უცოდინარ ბავშვებს თავიანთ უცოდინარობას, მაინც თავგამოდებით იბრძვიან დიპლომის მისაღებად!

სამწუხაროდ, ძალზე ბევრი „დიპლომიანი უვიცი „სპეციალისტი“ დაგვეგროვდა და ძნელი წარმოსადგენია, რა ღღეში აღმოჩნდება თავისუფალი, სუვერენული საქართველო, თუ სწავლის ლიბერალიზაციის გზას არ გადავუხვიეთ.

რამდენიმე წლის წინათ საკავშირო სახალხო განათლების სამინისტროს სპეციალურმა საატესტაციო კომისიამ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის (მათ შორის თბილისის უნივერსიტეტის) ატესტაციი ჩაატარა და სტუდენტებს საატესტაციო გამოცდების ჩაბარება მოუხდათ. ჩვენ, საბედნიეროდ, ამ გამოცდას გავუძელით. მაგრამ აზერბაიჯანისა და სომხეთის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი დაიხურა მათი დაბალი დონის გამო. საკითხავია, შარშან, სამედიცინო ინსტიტუტში (თუმცა არა მარტო იქ!) მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრილებს და მაინც ჩარიცხულებს რომ კიდევ მოსამზადებელი განყოფილებებიდან ორი ათასზე მეტი აბიტურიენტი დაეატოს, გაუძლებს ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტი საატესტაციო კონკურსს? იქნებ ამ ახალგაზრდას, სწავლის ნაკლვად მტინნებისა და შიმშილობებისათვის რომ მიუმართავთ და ნებისმიერი გზით დიპლომის მიღება სურთ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დახურვაც არ ადარდებთ?

მისაღები გამოცდების სისტემას ძირეული შეცვლა სჭირდება. ჩვენ ალბათ, ჩვენ ალბათ ... ...

საგამოფენო დარგაზეში

მხატვრის სათქმელი და ორიენტაცია



ძალაძში გამოკრული საგამოფენო აფიშები ამჯერად მხატვარ გოგი ლაზარაშვილის შემოქმედების გასაცნობად გვიწვევენ. მნახველი არ აკლდება მხატვრის სახლში გახსნილ მის პერსონალურ გამოფენას, რომელიც მეორე კვირაა გრძელდება და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში თუ ჩაიხედავთ, დარწმუნდებით, რომ ბევრს მოსწონს შემოქმედის ფერწერული სამყარო, მხატვართან შეხვედრა მაღალზნეობრივ, ჰუმანურ საწყისს ალვივებს ადამიანებში.

გოგი ლაზარაშვილის ბავშვობისდროინდელი ოცნება — მხატვარი გამხდარიყო — ერთბაშად არ ამხდარა. მოხდა ისე, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ერთი წელი ინჟინრადაც იმუშავა, მაგრამ... გრძნობდა, რომ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ებრძოდა საკუთარ თავს, მიხდა, რომ ხატვა იყო მისი თვითგამოხატვის მთავარი საშუალება და უამისოდ ცხოვრება არ შეეძლო. სხვა გზა არ ჰქონდა. უკვე „აწყობილი“ ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყო — სამხატვრო აკადემიაში შესვლა გადაწყვიტა. 70-იანი წლები იდგა, მოგეხსენებათ, მაშინ როგორი ვაჟკაცობა იქნებოდა იქ შეღწევა. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედით გასწია, ეყო გამბედაობა ნახატებით სწვეოდა აკადემიის მაშინდელ რექტორს აპოლონ ქუთათელაძეს. ბატონ აპოლონის თვალს არ გამოპარვია ახალგაზრდა კაცის ნამდვილი მოწოდება, მისი ყურადღებითა და შემწეობით გახდა გოგი ლაზარაშვილი სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი. მის მხატვრად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკადემიაში ბატონ კოკი მახარაძესთან გატარებულმა წლებმა. დამწყებმა მხატვარმა გაიზიარა მასწავლებლის შემოქმედებითი მრწამსი და მისი ერთგული გამომხატველი იყო თავის ფერწერულ ოპუსებში.

გოგი ლაზარაშვილმა 1976 წელს დაამთავრა აკადემია, მას შემდეგ სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საზღვარგარეთულ გამოფენებში. ადრე ჰქონდა გამოფენა მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმში. მისი ცალკეული ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილა და გაყიდულა კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ფინეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში.

წინამდებარე გამოფენამ, რომელზეც მხატვრის ბოლო ორ წელიწადში შექმნილი ოთხმოცამდე ფერწერული ტილოა წარმოდგენილი, გაგვაცნო კეთილსინდისიერი, დახვეწილი პროფესიონალი და ამასთან მაძიებელი ექსპერიმენტატორიც, ოსტატობის მხრივ, უდავოა, მას ერთგვარი ვირტუოზულობისათვის მიუღწევია. გამოფენა საინტერესო მიგნებებით ხასიათდება, უპირველესად ეს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მხარეს ეხება, მაგრამ მხატვრის ფერწერული ნამუშევრების მიმზიდველობა მარტოოდენ ტექნოლოგიაში როდია, იგი მხატვრული ღირსებითაც გამოირჩევა.

მრავალფაქტურიანობის საოცარი სინთეზია მხატვრის ტილოებზე. იგი შერეული ტექნიკით მუშაობს, ფერწერული მატერიის შესაქმნელად წმინდა ფერწერული მასალის გარდა ოსტატურად იყენებს სხვადასხვა მასალასაც. გოგი ლაზარაშვილის ფერწერული მეტყველების მანერა ინტელიგენტურია, ზედმიწევნით დაშორებული მაღალფარდოვნებას. მისი კოლორიტისთვის ნიშანდობლივია ფერთა კეთილშობილური გამა, მშვიდი ტონები. იგი არ ესწრაფვის მნახველის გაოცებას ფორმების უცნაურობით და სირთულით, მკვეთრი, ლოკალური ფერების აღრევით, მას რბილი ტონალური გადასვლები აქვს. ეს არ გახლავთ „ხმაურიანი“, არამედ ეს არის ტონალურ ნიუანსებზე აგებული „ჩუმი“ ფერწერა.

მხატვარი რეალური სამყაროს გამეორებას არ ისახავს მიზნად. მას თავისებური დამოკიდებულება აქვს საგნებისა და მოვლენების მიმართ, აინტერესებს ადამიანის სულიერი ძვრები. იგი ცდილობს მოვლენის, ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნას ფერის, ლაქის, ხაზის საშუალებით. მის ფერწერულ ნამუშევრებში პოეტურ-ლირიკული განწყობილება ჭარბობს. თითოეული ნახატი მოწმობს, თუ რა ინტენსიურად მუშაობს მხატვარი ფერის კომპოზიციაზე, მის ჰარმონიულ მთლიანობაზე.

მხატვრის სულიერი პორტრეტის დასადგენად ყველა ნამუშევარს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მაინც შეიძლება რამოდენიმე ფერწერული ტილოს გამოყოფა, რომლებიც საუკეთესოდ გადმოსცემენ მხატვრის ხედვის ინდივიდუალობას. ასეთებია: „ვარდისფერი ოცნება“, „ეკლესია“, „წინათგრძნობა“, „წინაპართა ძახილი“, „საქართველოში“, „თბილისო ჩემო“, „ლურჯი კომპოზიცია“, „დარიგება“, „უძილო ღამე“, „მგზავრები“, „შემოდგომა გარეუბანში“, „მეუღლის პორტრეტი“, „ნატურმორტი“.

გამოფენაზე მნახველი გაეცნობა იმ ფერწერულ ნამუშევრებს, რომლებშიც 9 აპრილის დიდმა ტკივილებმა ჰპოვა გამოძახილი.

გოგი ლაზარაშვილი თავის სურათებში რელიეფურ ან ნაკაწრ წარწერებს აკეთებს — ზოგი ცნობილი აფორიზმია, ზოგი ფრთიანი გამონათქვამი. მხატვრის თქმით, ეს ფრაზები უნებლიედ იბადება ტილოზე, სურათის განწყობილება რასაც უკარნახებს, — ამით დიდებულ ქართულ ასოებსაც ვეფერები და თან მინდა ადამიანებს შევახსენო დავიწყებულ სულიერებაზე, უძველეს ძირებზე, თუ საიდან მოვდივართ — ამბობს მხატვარი.

ხელოვნებაში საკუთარი თავის პოვნა ყოველი შემოქმედის უპირველესი მიზანი უნდა იყოს თავიდანვე. ამ მრწამსით დაადგა თავის გზასავალს ხელოვნებაში გოგი ლაზარაშვილი, დაჟინებით მაძიებლობამ, დიდმა შრომისმოყვარეობამ მასში გახსნა საკუთარი ხმის, საკუთარი ინტონაციის მიგნების ნყურვილი.

მხატვარი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს. იგი თვლის, რომ ახლა ისეთი დრო დადგა, როცა შემოქმედება შეიძლება მატერიალურიც გახდეს, ეს კი იმათი ჯილდოა, ვინც არ უღალატა შემოქმედებას.

გოგი ლაზარაშვილის წინამდებარე გამოფენა ერთგვარი შეჯამებაა იმ ძიებებისა, რომელსაც მხატვარი ბოლო წლებში ინტენსიურად მიმართავს და საგრძნობი შედეგისთვისაც მიუღწევია.

უდავოა, რომ ეს გამოფენა მხატვრის ცხოვრებაში ახალი საფეხურია — მისი პოზიციის, სათქმელის და სააზროვნო ორიენტაციის გამომხატველი.

გიორგი ლალიაშვილი.

✦✦

სურათზე: გოგი ლაზარაშვილის ფერწერული ტილო „მეგობრები“. თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ჯერ ხორბლების წრიპინი და შედედდა ბაერში, მერე ვიღაცის სულისწამღებმა ღრიალმა გაკვეთა გაზაფხულის ჯერაც სუსხიანი ღამე, სადღაც კი... სოფლის შეაგულში შეჯგუფულ კაცებს დილამდელ ამბავს უყვებოდა მეზობელი სვენტა-სვენტაი.

...ცხრა აპრილიდან ოცი დღე გასულიყო მხოლოდ.

მაშინ, იმ შიშნაჟამ შაბათს, არავინ უწყოდა ხეირიანად, რა იყო ეს: მისი უდიდებულესობა ბეღისწერა, შემთხვევა თუ დაუდგენრობით გამოწვეული დანაშული. ეს კი, ერთხმად აღნიშნავდნენ თვითმხილველნი, უბედურება თვალის დახამხამებაში დატრიალდა და მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდაო.

არადა, ყველაფერი მართლაც მოულოდნელად მოხდა.

შარშან, 29 აპრილს, თბილისი-გორის გზაზე, კასპის რაიონის სოფელ ფერმის გადასახვევთან ავტომობილი გაჩერდა. იქიდან გადმოსულებმა მეორე მხარეს, მინდვრად გაბლილ ცხვრის ფარას მიაშურეს და დილის ცვრით დანამულ მწყემსს გაუბეს საუბარი.

მერე ის იყო, ერთი ბატკანი გადმოირბენს, ავტოავარია არ მოხდებაო: ავტომანქანა თავისუფლად ასწრებს გზის არსებული მონაკვეთის გავლას მანამ, ვიდრე ფეხით მოსიარულე გზას გადაჭრიდეს“.

ექსპერტის დასკვნა მხოლოდ ავდალიანისეული ვერსიის შესამოწმებლად დასჭირდა სასამართლოს, თორემ თვითმხილველთა ჩვენებით ისედაც ნათელი იყო ავარიის მიზეზი.

ამონაწერი სასამართლო განაჩენიდან: „1989 წლის 29 აპრილს თამაზ ასკოს ძე ავდალიანი უმნდობილობოდ მართავდა თავისი პაპის ურუს ალის ძე ავდალიანის კუთვნილ ავტომანქანას „ვაზ-2102“. დაახლოებით 9 საათსა და 30 წუთზე კასპის რაიონის სოფელ ფერმის ჩასახვევთან ახლოს უხეშად დადგ კასპის რაისაავადმყოფოსაკენ გასწია: სწორედ იქ წაიყვანეს დალუპული ნათესავებმა.

საავადმყოფოს ეზოში ძალზე საინტერესო ამბავი დატრიალდა: სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მომენტში მყოფი ინსპექტორი ჯიმერ მიეჭრა მომხდარით შეძრწუნებულ, ჯერაც გოგნებულ დ. სვანიშვილს და ახსნა-განმარტება ჩამოართვა მას, ხოლო მაავე ახსნა-განმარტებაზე რატომღაც შემთხვევის მეორე მხილველს ა. კერესელიძეს მოაწერინა ხელი. არადა, აი, რა ეწერა ამ დოკუმენტში „...ვ. კერესელიძემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ერთი ნაბიჯი ექნებოდა გზაზე გადადგმული, რომ ამ დროს დაეჯახა ავტომანქანა წინა მარჯვენა ფრთით“.

ასეთი „უყურადღებობის“ მიზეზად სასამართლოზე კარლო ოთარაშვილმა ოპერატიულობა დაასახელა, მომხდარის შესახებ ტელეფონოგრამის დადაცემა მეჩქარებოდაო, მაგრამ იქვე, ეზოში, ამ ამბავს შესწრებულმა ქალმა სრულიად სხვა აჩვენა:

„...კასპის საავადმყოფოს ეზოში ყურადღება მივაქციე ახალგაზრდა ბიჭს, რომელიც გაღიზიანებული ელაპარაკებოდა ავტოინსპექტორს. ასე ეუბნებოდა, ხომ გითხარი, კი არ მოძრაობდა, მოხრეშილზე იყოთქო გაჩერებული. ამის გამო ისინი (ალბათ, სხვა მოწმეებიც — ს. ბ.) მივიდნენ ავტოინსპექტორთან და უთხრეს, რატომ აჭინდებოდა, ხომ ხედავს, რა ზედმარეობაშია ხალხი, რასაც ეუბნებოდნენ, ის დაწერა და გაეხებინა თავი, რაზეც ავტოინსპექტორმა უპასუხა, ეგ თქვენი საქმე არ არისო“ (სტილი დაცულია — **ს. ბ.**).

კარლო ოთარაშვილის ამგვარი „სიზუსტე“ კასპის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ტ. გეჯაძემაც დაადასტურა სასამართლოზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „...საავადმყოფოს ეზოში ნახა ამირან კერესელიძე, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იყო, ტიროდა, კედელს თავს ურტყამდა, წყიტა კედელი, იგი დ. სვანიშვილს კ. ზირაქაშვილსა და ნ. ნინიკაშვილს ეკავათ ხელით და აწყნარებდნენ. ამირან კერესელიძისა და იქ მყოფი პირების დაკითხვა იმ მომენტში შეუძლებელი იყო... ამ დროს კი ავტოინსპექტორ კ. ოთარაშვილს ხელში ქაღალდი ეკავა და იწერდა გვარებს...“.

აი, ასეთ ვითარებაში ჩამოართვა ავტოინსპექტორმა ახსნა-განმარტება ერთს და ხელი მოაწერინა მეორეს...

თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლომ არ გაიზიარა კარლო ოთარაშვილის მიერ შედგენილი დოკუმენტის სისწორე, აგრეთვე ავტოსაგზაო შემთხვევის მისეული სქემა და... ავტოინსპექტორის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება, თუმცა ოთარაშვილის ნაუცბათევმა, ზერელედ ჩატარებულმა მოკვლევამ კარგა ხნით გაუმაგრა ზურგი თამაზ ავდალიანს...

სხვათა შორის, კასპის რაიონში ოთარაშვილის გარდა სხვა „გულკეთილი“ ადამიანებიც არ დაილია. ჯერ იყო და, რაისაავადმყოფოში მიყვანილი მძიმოლი თავისებურად შეამოწმა მორიგე ექიმმა სამხარაძემ... ყნოსვით დაუდგინა სიმთვრალე (არადა, სისხლის ანალიზი უნდა აეღო), ერთი შეზედვით, მოიწონა მისი მიმიკაც, მოძრაობაც და მეხსიერებაც. ბოლოს კი შეადგინა აქტი და ხელიც გულდამშვიდებით მოაწერა.

ეგეც არაფერი. ვაჟა კერესელიძის საქმე კასპის რაიონის შინაგან საქმეთა საგამომძიებლო ჯგუფმა („უფროსი გამომძიებელი ტ. გეჯაძე) 1989 წლის 7 მაისიდან 28 ნოემბრამდე გააჭიანურა. ბოლოს, როგორც იქნა დაამთავრეს, მაგრამ ახლა კასპის რაიონის სასამართლო გაჭირვეულდა — რაღაც ვერ გაეგერკვიეთ კარგად და ხელმეორედ შეისწავლეთო. ისევ უკან დააბრუნეს საქმე.

დრო კი მიდიოდა და არავინ იცის, ვის წისქვილზე ასხამდა წყალს. კიდევ კარგი, კასპის რაიპროკურატურამ გამოიჩინა სიმტკიცე — მისი პროტესტის საფუძველზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს განჩინება გააუქმა და საქმე განხილვისათვის გადასცა თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს. მან კი განაჩინა:

„თამაზ ასკოს ძე ავდალიანი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით 4 წლის ვადით“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს განაჩენი უცვლელად დატოვა.

და ბოლოს, ვინ არის თამაზ ავდალიანი?

იგი თბილელია, ცხოვრობს ფალიაშვილის ქუჩაზე და მუშაობს „საქწყალს“ გაერთიანების წიგნის საწყობში კომპლექტატორად, საღამოობით კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იურისპრუდენციას ეწაფება.

როცა ავარია მოახდინა, ავდალიანმა სამსახურიდან დახასიათება მიარბენინა, ნახეთ, რა მუყაითი კაცი ვარ. როგორ შევუყვარდი ამ მოკლე ხანში მთელ კოლექტივსო. დახასიათებაში კი ეწერა: „თამაზ ასკოს ძე ავდალიანი 1988 წლის დეკემბრიდან მუშაობს „საქწყალის“ რაიგაერთიანების წიგნის საწყობში. მისი მუშაობის პერიოდში (სულ რაღაც ხუთ თვეში — ს. ბ.) გამოირჩევა დიდი შრომისმოყვარეობით. მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის სამუშაოს. ასევე ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებებს, თანამშრომლებში იმსახურებს დიდ სიყვარულს...“

ძნელი სათქმელია, რამ აღაფრთოვანა ასე „საქწყალის“ რაიონული გაერთიანების ხელმძღვანელობა. ზოგი იმასაც ამბობს, ეგ იმავე გაერთიანებაში მომუშავე ერთ-ერთი საწყობის გამგის — თამაზის მამის — ასკოს დიდი დამსახურებაო. ვინ იცის! ეს კი, დიდი შრომისმოყვარეობითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეულმა კომპლექტატორ-იურისტმა ოცი წლის ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ამიტომაც ოხრავდნენ სოფლის შუაგულში შეჯგუფული კაცები, ნერვიულად ახრჩოლებდნენ გაღეკილ პაპიროსებს და შუბლშეკრულნი უსმენდნენ მეზობელს...

სოსო ბაღაშვილი.

ბაღრაკი

მატჩი დაიწყო

ჰოლანდიელი მთავარი მსაჯის, საერთაშორისო არბიტრ გისეინის მიერ ჩატარებულმა წოლისყრამ მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის პირველ პარტიაში თეთრებით თამაში ანატოლი კარპოვს არგუნა.

მთავარმა მსაჯმა დამსწრეთ გააცნო შეჯიბრების რეგლამენტი: ნიუიორკში გთამაშდება პირველი 12 პარტია. კვირაში გაიმართება სამი შეხვედრა, თუ საჭირო გახდა, მომდევნო დღეებში გადადებულ პარტიებს დაამთავრებენ.

დაახლოებით შუა ნოემბრიდან მცირე შესვენების შემდეგ, მატჩი ლიონში გაგრძელდება. თუ ყაიმით — 12:12 დამთავრდა, დებულების თანახმად, კასპაროვი ინარჩუნებს თავის წოდებას.

პრეტენდენტთა ტურნირი

ბრძოლა... შეუპოვარი!

ბორჯომში, სადაც მოჭადრაკე ქალებს არც დაზვერვისა და აღარც უკან დახევის დრო აღარა აქვთ, ბრძოლაც, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუპოვრად წარმართა. ცხადია, ასეთი განწყობილება მხოლოდ იმ დიდოსტატებზე ვრცელდება, რომლებიც პირველ-მეორე ადგილებს უმიზნებენ.

პირველ ტურში ახმილოვსკაია-იოსელიანის პარტიაში ძველინდური დაცვა გათამაშდა. მეტოქენი კარგად იცნობენ ერთმანეთს და, ამდენად, იოსელიანი შეეცადა სიურპრიზი შეეთავაზებინა თეთრებისათვის, როცა მისთვის უჩვეულო ძველინდურ დაცვას მიმართა. ამ დებიუტში, რომელიც უმწვავესთა და ურთულესთა რიცხვს მიეკუთვნება, თავიდანვე ისმის შეკითხვა — ვინ — ვის? საქმე ის არის, რომ დასწრებაა საჭირო. თეთრები თავიდანვე უტევენ ლაზიერის ფრთაზე, შავები კი მეტოქის მეფეს ემუქრებიან. მალე გამოირკვა, რომ დასაწყისი უფრო ზუსტად და ენერგიულად ქართველმა მოჭადრაკემ გაითამაშა — მისი შეტევა უფრო სახიფათო იყო. მაშინ ახმილოვსკაიამ ფიგურა შესწირა და საინტერესო კონტრთამაშიც მიიღო. ეტყობა, შექმნილ მდგომარეობაში ეს პარტიის ხსნის კარი გზა იყო. ბოლოს და ბოლოს ახმილოვსკაიამ მიაღწია კიდეც ყაიმს.

გაფრინდაშვილმა მოუგო კახიანს, გალიამოვამ — სი ჟუნს, ხოლო კლიმოვა-რიჰტროვა და მარიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეორე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იოსელიანისა და გაფრინდაშვილის შეხვედრას. ჩვენ ამ დიდოსტატთა ბევრი პარტია გვინახავს — არც ერთი მათგანი მოსაწყენი და უფერული არა ყოფილა. ტურნირის წინ, მომზადებისას, მოჭადრაკეები, გასაგებია, გარკვეულ მოულოდნელობებს უმზადებდნენ ერთმანეთს. ისეთ დებიუტებსაც კი გადახედავდნენ ხოლმე, აქამდე რომ არ მიეუმართავთ. ასე გამოჩნდა გაფრინდაშვილის რეპერტუარში რუსული დაცვა. იოსელიანიცა და გაფრინდაშვილიც ისეთ მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძვიან. ცხადია, ასე მოხდა ამჯერადაც. მეტოქენი, ისინი იყო, სადებიუტო სტადიიდან გამოვიდნენ, რომ გაფრინდაშვილმა მხედრის საინტერესო შეწირვა განახორციელა. იოსელიანმა მეფე პაიკების დასუსტებულ საფარს მოიცილა და ცენტრში გადაიყვანა. მეტოქეები საგულდაგულოდ ფიქრობდნენ ყველა სვლაზე და, გასაგებია, ცაიტნოტში ამოჩრდნენ. აქ ერთხანს მდგომარეობა დაახლოებით თანაბარი, მაგრამ საკმაოდ მწვავე იყო. იოსელიანის უზუსტო სვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა პაიკი მოიგო. ბრძოლა მეტად თავისებურ დაბოლოებაში გადავიდა, სადაც მეტოქეებს ორ-ორი კუ ჰყავდათ. ასეთი ენდშპილი, სატურნირო პრაქტიკაში, შეიძლება ითქვას, თითქმის არ გვხვდება. პირველი 40 სვლის შემდეგ მეტოქეებს სულის მოთქმის საშუალება მიეცათ — მათ თავი დაანებეს ცაიტნოტს. ახლა საინტერესო იყო, რა გზას მიმართავდა გაფრინდაშვილი მცირე მატერიალური უპირატესობის რეალიზაციისათვის. ეს მეტად რთული ამოცანა გამოდგა. პარტია გადაიდო. შავებით მოთამაშე კახიანი შეცდა და დამარცხდა მარიჩთან, გალიამოვამ რთულ ბრძოლაში შეძლო ახმილოვსკაიას დამარცხება, კლიმოვა-რიჰტროვა და სი ჟუნი კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ორი ტურის შემდეგ გალიამოვას ორი ქულა აქვს, მარიჩს — ერთ-ნახევარი, გაფრინდაშვილს ქულა და ერთიც გადადებული პარტია, კლიმოვა-რიჰტროვასაც ქულა, იოსელიანს — ნახევარი ქულა და 1 გადადებული პარტია, ახმილოვსკაიასა და სი ჟუნს — ნახევარ-ნახევარი ქულა, კახიანს კი... ჯერჯერობით არც ერთი.

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის

ქალაქ ჩარჯოუში 1990 წლის 30 სექტემბერს გამართული 70-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი.

მოგება ხვდა სესხის ორმოცდათერთმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200067	1—100	250	232473	065*)	2500	267158	1—100	100
200449	064*)	2500	233414	1—100	100	268630	082*)	500
200683	036*)	500	233527	1—100	500	270323	1—100	100
200709	075*)	500	233825	062*)	500	270568	068*)	1000
201111	1—100	250	236139	092*)	500	271545	062*)	2500
201688	026*)	1000	237278	081*)	1000	271608	1—100	100
202506	094*)	1000	237315	001*)	2500	272056	010*)	500
203136	065*)	1000	237323	1—100	250	272124	1—100	100
203601	040*)	500	237607	053*)	1000	272172	008*)	1000
204317	1—100	250	238267	039*)	500	272606	080*)	1000
204466	1—100	100	238571	037*)	500	273601	046*)	1000
204589	1—100	250	239262	021*)	500	274606	1—100	100
205322	041*)	1000	239313	1—100	100	274787	1—100	100
205663	080*)	500	240221	1—100	100	274906	009*)	500
205713	085*)	2500	242065	1—100	100	275341	007*)	1000
206619	061*)	500	242242	031*)	1000	275368	031*)	500
206841	028*)	1000	242418	068*)	1000	276644	1—100	250
207513	1—100	250	242789	022*)	1000	276915	1—100	100
207566	1—100	100	243478	1—100	100	277484	070*)	5000
209795	001*)	1000	243644	1—100	100	277844	1—100	100
209976	062*)	1000	244061	012*)	1000	277942	051*)	500
210353	034*)	500	244767	085*)	500	278033	1—100	250
210483	1—100	100	244836	022*)	1000	278374	037*)	500
210683	048*)	500	245160	099*)	500	278497	020*)	1000
210924	072*)	2500	245465	069*)	1000	278856	034*)	1000
211957	1—100	250	246624	086*)	1000	279917	093*)	500
212237	097*)	5000	246945	037*)	1000	280323	056*)	2500
212346	076*)	1000	247348	098*)	2500	280528	021*)	500
212857	045*)	1000	247495	093*)	2500	280625	022*)	500
213020	020*)	2500	248138	051*)	2500	280667	1—100	250
214164	1—100	250	248745	1—100	250	281625	1—100	100
214539	1—100	100	250099	051*)	500	281918	022*)	10000
214803	1—100	100	250283	034*)	1000	282359	016*)	500
215751	058*)	1000	250616	1—100	250	282818	1—100	100
215879	1—100	100	250650	017*)	1000	283226	066*)	1000
215900	006*)	5000	250764	1—100	100	283428	1—100	100
216306	1—100	250	251037	072*)	1000	283577	098*)	1000
219240	003*)	1000	251191	053*)	1000	283927	007*)	500
220551	045*)	500	253218	1—100	100	284061	024*)	500
220860	1—100	250	253693	016*)	500	284426	061*)	2500
221157	1—100	250	254276	095*)	1000	284947	004*)	1000
221160	1—100	250	254776	032*)	5000	285494	029*)	500
221344	1—100	100	254795	1—100	100	286861	040*)	1000
221417	059*)	1000	255409	1—100	100	287277	1—100	100
221934	007*)	500	255795	044*)	1000	287419	1—100	100
222534	091*)	1000	256945	1—100	250	287455	005*)	500
222607	006*)	2500	257154	008*)	1000	288609	080*)	500
223192	036*)	500	257621	1—100	100	289408	038*)	2500
223239	1—100	500	257790	069*)	500	289932	051*)	2500
224470	029*)	500	259228	093*)	2500	291837	044*)	500
224554	088*)	5000	259495	1—100	100	291948	081*)	2500
224650	008*)	500	259519	005*)	1000	292052	041*)	500
224835	044*)	500	260647	097*)	2500	292386	1—100	100
225303	1—100	250	261850	032*)	1000	292929	038*)	1000
225386	058*)	500	262664	1—100	100	293538	035*)	1000
225461	056*)	500	263669	027*)	2500	293685	001*)	1000
226677	020*)	1000	264504	1—100	100	293697	088*)	1000
227278	1—100	100	264733	1—100	100	293797	1—100	250
229504	092*)	1000	265009	074*)	500	294737	1—100	250
229575	013*)	2500	265618	1—100	100	294997	025*)	500
230140	020*)	500	266132	014*)	1000	295339	1—100	100
230179	042*)	1000	266157	066*)	500	295816	061*)	500
231720	1—100	100	266683	1—100	250	295831	1—100	100
231760	020*)	1000	266720	031*)	500	296724	1—100	100
231850	1—100	250	266762	041*)	1000	297226	1—100	250
231984	037*)	1000	266975	045*)	500	297664	046*)	500
232362	026*)	1000				298671	1—100	250

*** ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.**

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციის მოგებანი. ასმანეთიან ობლიგაციებზე 100, 250, 500 მანეთის თანხობრივი ოდენობით მოგების შემთხვევაში მოგებული სერიის ყველა ნომერზე ზუსტამისად გაიცემა 200, 500 და 1000 მანეთი. ასმანეთიანი ობლიგაციის ერთ-ერთ ნომერზე 500, 1000, 2500, 5.000 და 10.000 მანეთის მოგების შემთხვევაში მეორე ნომერზე მოგება იქნება 100 მანეთი და ობლიგაციებზე შესაბამისად გაიცემა 600, 1100, 2600, 5100 და 10.100 მანეთი. 25-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა ორმოცდაათმანეთიან ობლიგაციაზე მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებანი მოგებას გასცემენ დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ჩარჯოუს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. თ. ბალასანიანი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. ი. დიმოვინა.

ტრაგედია გზაზე

ანუ ჩვიდმეტი თვის წინანდელი ამბის დასასრული

მოარჩია ფარიდან მწყესმა, მარდად გამოსჭრა ყელი ხელგაწფფულმა და გატყავებას შეუდგა მყისვე.

ძოსულთაგან ორი იქვე, მინდორში დარჩა. სხვა ორმა კი გზის განაპირას, მოხრეშილზე განაგრძო ბაასი.

უეცრად ტრასაზე „ჟიგული“ ამოისვეტა. ერთგან თავი ვეღარ მოთოკა სწრაფმავალმა, წინა ბორბალი მოხრეშილზე გადაუცდა და სვლა აერია, სიმტკიცე დაკარგა. მერე ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა: გავეშებული მანქანა გზის განაპირზე მდგომთ დაეძგერა, ერთი, ყველაზე ახლოს მყოფი ჭაბუკი ზედ მეიგდო და თან ბიტაცა...

როდის-როდის დაიღრჭიალეს მუხრუჭებმა, რეტდასხმული „ჟიგული“, თითქოს გონს მოეგოო, ერთბაშად დაცხრა, ადგილს მიეყინა, მსხვერპლი კი რამდენიმე მეტრის მოშორებით დაიგდო წინ.

როცა მინდვრად დარჩენილნი ასფალტზე გართხმულ თანამგზავრს მისცვივდნენ, სიცოცხლის ნიშნწყვალი აღარ ეტყობოდა მას: 20 წლის ვაჟა კერესელიძე ადგილზევე გარდაიცვალა.

კარბა ხნის შემდეგ, უკვე სასამართლო პროცესზე, „ჟიგულის“ მძღოლი თამაზ ასკოს ძე ავდალიანი სხვაგვარად დაბატავს მთელ ამ ტრაგედიას. ავარიის მისეული ვერსიით დანაშაული თვით დაღუპულს ეკისრება, რომელიც თურმე სწორედ შაშინ გამოიჭრა გზაზე, როცა ავდალიანის მანქანა 10 მეტრით მიუახლოვდა მას.

როგორ არა, მაშინვე დავამუხრუჭე, მაგრამ.. აღარ გიჩერდაო ეს ვერახა,ამასაც იტყვის მძღოლი, თუმცა ეიტნოო გამოდგა თავის გადარჩენის ამგვარი ცდა.

თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლო სხდომაზე მოწვეულმა ექსპერტმა ასე განმარტა:

„...მაშინაც კი, როცა 60-70 კილომეტრი სიჩქარით მიმავალი მანქანა 10-15 მეტრით მიუახლო